პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზნ. ქ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76, მდივნის 10—68

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 30 პარასკევი, 9 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 30

დღიური

რურის ოლქის რკინის გზელთა გაფიცვა კვლავ განახლდა.
რკინის გზის ქსელი 200 კილომეტრზე სრულიად გაუქმებულია.
ფრანგები ცდილობენ მანჰეიმის დაკავებას.
განზრახულია ფოლადის და რკინის გატანის აკრძალვა რურის ოლქიდან. ოკუპაცია თანდათან ფართოვდება.
იტალიაში აღმოაჩინეს ანტიფაშისტური შეთქმულება.
ქემალ-ფაშამ ბრუსაში მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოსთქვა.

10 თებერვალს, სალამოს 6 საათზე,
სასახლეში (ოთახი № 28)
შესდგება
სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის

სხდომა

სავალდებულოა ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება დანიშნულ დროს.

საქართველოს ცაკის მდივანი—**ხაბაშვილი.**

25 თებერვლის დღესასწაულისათვის

ძვ. ამხანაგებო!

მიმდინარე წლის 25 თებერვალს შესრულდება 2 წელი დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა საქართველოში; ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში მუშები და გლეხები განთავისუფლდენ მენშევიკების სამარცხვინო ბატონობისაგან. განთავისუფლდენ იმ ძარცვა-რბევისაგან, რომელსაც აწარმოებდენ მენშევიკური მთავრობის აგენტები, განთავისუფლდენ ერთა შორის წარმოებული სისხლის მღვრელი ომებისაგან.

თავის ბატონობის მთელი ხნის განმავლობაში მენშევიკები კლასიური სოლიდარობის ნაცვლად შურს და მტრობას სთესდენ ამიერ-კავკასიის და რუსეთის მუშებს შორის.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა სურვილით და თავგანწირული ბრძოლით დაარსდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც საბჭოთა რუსეთისა, უკრაინისა ბეინტერესებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

მახლობელი პარტიული დღე შესწირეთ ამ საკითხის გარკვევა-გაშუქებას.

24 თებერვალს, მუშაობის გათავების შემდეგ მოაწყეთ ფაბრიკებსა, წარმოებებსა და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებები, რომლებზედაც დაწვრილებით უნდა გააშუქოთ „25 თებერვლის“ მნიშვნელობა.

25 თებერვალს დღისით მოაწყვეთ საზეიმო პროცესია წითელ არმიელებთან ერთად ქალაქები და დაბები, სადაც შესაძლებელია სოფლებიც, შესაფერისად მორთეთ და მოკაზმეთ.

ყველა თემებში და სოფლებში მოაწყვეთ მიტინგები და ფართოთ განუმარტეთ მასას ამ დღის მნიშვნელობა. სალამოს გამართულ თეატრებში და კლუბებში უფასო გასართობები.

მოაწყვეთ მოგონებათა სალამოები მენშევიკებთა წინააღმდეგ რევოლიუ-

ლორუსიასთან ერთად შექმნეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. დღე თავიანთ განთავისუფლებისა და საბჭოთა დიდ ფედერაციაში შესვლისა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა უნდა აღნიშნონ, როგორც ერთი უმნიშვნელოვანესი დღეთაგანი რევოლიუციონურ მოძრაობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში.

სრულიად საქართველოს პირველმა საბჭოთა ყრილობამ დაადგინა: „25 თებერვალი“ ჩაითვალოს საქართველოს განთავისუფლების დღეთ მენშევიკთა ბატონობისაგან და იდღესასწაულოს იგი მთელ საქართველოში დიდი ზეიმით.

ამიტომ საქართველოს სააგიტ-საპროპ. განყოფილება წინადადებას გაძლევთ: „25 თებერვალს“ დღესასწაულს მისცეთ განსაკუთრებული საზეიმო და არაჩვეულებრივი ხასიათი.

დღესასწაულის ჩატარებლათ, ამ ცირკულიარის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ შეადგინეთ კომისიები დაციურ ბრძოლაში მონაწილეობის მიმღებ ამხანაგებისა.

მოაწყვეთ გამოფენა სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიურ მიღწევათა ამ ორი წლის განმავლობაში.

ყველა წიგნთ-საცავებმა, სამკითხველოებმა და სახალხო სახლებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმუმი ენერგიისა, რათა ეს დღე პოპულიარული გახადონ მშრომელ მასაში.

ფართოდ გააშუქეთ ეს საკითხი პრესაში, მოათავსეთ წერილები საბჭოთა ხელისუფლების მოქმედების შესახებ სხვა და სხვა დარგში.

საჭიროა გაზეთებში მოთავსებულ იქნეს მენშევიკებთან რევოლიუციურ ბრძოლაში მონაწილეთა მოგონებანი.

ამ დღის აღსანიშნავათ და პოპულიარიზაციისათვის საჭიროა გახსნილ იქნეს სამკითხველოები, კლუბები და სხვა კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებანი. ამ დღესასწაულის ჩასატარებლათ საჭირო ხარჯის გაღება ევალება სათანადო სამაზრო და თემის აღმასკომს.

ს. კ. პ. ც. კ-ის მდივანი: **მ. კახიანი.**
ც. კ. სააგიტ. საპროპ. განყ. გამგის მოად. **ა. კვირიკაძე.**

ამიერ-კავკასიის ეკონომიური თათბირი

ამიერ-კავკასიის ეკონომიურ საკითხების ყოველმხრივ გასაშუქებლად და მეურნეობის მახლობელ პერსპექტივების გამოსარკვევად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო იწვევს ა. წ. 1 მარტისათვის ქ. თფილისში ამიერ-კავკასიის ეკონომიურ თათბირს, საოლქო და ადგილობრივ ეკონომიურ სახ. კომისარიატების, სახელმწიფოებრივი სავაჭრო ორგანიზაციების, კოოპერატივთა პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა და აგრეთვე მეურნეობის სხვადასხვა სპეციალისტებისა და მცოდნეთა მონაწილეობით.

თათბირის დღის წესრიგი:

1) ამიერ-კავკასიის ეკონომიკის საერთო მიმოხილვა.
2) ა. ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობა და მისი განვითარების ფორმები.
ბ. საქონლის მოშენების მდგომარეობა და მისი პერსპექტივები;
გ. საძოვრების საკითხი;
დ. ტყის მეურნეობა.
3) სამრეწველო მცენარეთა კულტურა და მათი განვითარების პერსპექტივები.
4) მხარის წყლის მეურნეობა და ირრიგაციის საკითხები.
5) ამიერ-კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრენი.
6) დამმუშავებელი მრეწველობის ფორმები და ამოცანები.
7) ა. ელექტროფიკაცია;
ბ. ულელტეხილის ელექტრონის გზა.
8) ამიერ-კავკასიის ფულის სისტემა და პერსპექტივები.
9) გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა.
10) მიმოსვლის გზები და საშუალებანი (მათი მდგომარეობა და განვითარების საკითხები).
11) საგარეო ვაჭრობა და საბაჟო პოლიტიკა.
12) ამიერ-კავკასიის ბაზრები.
13) შინაური ვაჭრობა, მისი ორგანოები და ვაჭრობის კანონმდებლობა.
14) კოოპერაცია საბჭოთა მეურნეობის სისტემაში,
15) ამიერ-კავკასიის სამეურნეო სამმართველოს ორგანიზაციის ფორმა.

ყრილობაზე მოწვეული არიან:

უმაღლეს საოლქო ორგანოების—ამიერ-კავკასიის ცაკის, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და სრულიად-რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლები; გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების: ფინანსთა სახალხო კომისარიატის, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის, სასურსათო სახალხო კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, გზათა სახალხო კომისარიატის და შრომის სახალხო კომისარიატის სახალხო კომისრები; რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების,—სავაჭრო სამმართველოს—გამგეები; ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის, რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის, პურის პროდუქტის განყოფილების, ამიერ-კავკასიის კავშირის, ცენტრო კავშირის და საბაჟო სამმართველოს ხელმძღვანელები; რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლები; რესპუბლიკების მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატების, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახალხო კომისრები; ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სასურსათო სახ. კომ., მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულები; ბამბის მოშენების კომიტეტების, მუღანის სამელიორაციო აღმშენებლობის განყოფილების, სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილების, ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ს. ს. ს. რ. სახალხო ბანკის, სახელმწიფო ბანკების, საქ. ს. ს. რ. კოოპერატიული ბანკის, „ჩემო“-ს, აზერბეიჯანის თევზის და აბრეშუმის მრეწველობის განყოფილებების გამგეები; პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები; ცეკავშირის, აზერბეიჯანის კოოპერატიული კავშირის, სომხეთის კოოპერატივთა კავშირის, აფხაზეთის კავშირის წარმომადგენლები; ცენტრალური სტატისტიკური განყოფილებების გამგეები.

განზრახულია აგრეთვე პერსონალურად მოწვევა ამიერ-კავკასიის ქარხნების წარმომადგენლების, სპეციალისტების (აგრონომების, ინჟენერების, ეკონომისტების და სხ.).

ყრილობის მოწვევა დაკისრებული აქვს ამიერ-კავკასიის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, სადაც შეიძლება ყოველგვარი ცნობების მიღება.

მთელი მიწა მშრომელ გლეხობას

დღეს ჩვენ არ გვაქვს იმაზე უფრო საშური და მნიშვნელოვანი საქმე, როგორც აგრარული რეფორმის დამთავრება.

საკმაო მასალა იყო გამოქვეყნებული იმის შესახებ, თუ როგორი იყო დღემდე ამ მხრივ მდგომარეობა, მემამულეებისა და კულაკებისაგან მიწის ჩამორთმევა და მათი გადაცემა უმიწო-წყლო გლეხობისათვის საშინლად დაგვიანდა. ამ მიმართულებით ძალიან ცოტა აღმოჩნდა გაკეთებული. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეორე წლის მიწურულისათვის ბევრ ალაგას არ მომხდარა მაინცდამაინც დიდი არსებითი ცვლილება იმ საადგილ-მამულო ურთიერთობაში, რომელიც მემკვიდრეობათ მივიღეთ მენშევიკებისაგან. მემამულენი ჩვენგან ფაქტიურად ფლობდნენ წინანდელ მიწებს, კულტურულ მამულებს, სამეურნეო მოწყობილებას, უზარ-მაზარ შენობებს; ისინი ძველებურად ბატონ-პატრონებად გრძობდენ თავს. ამ ნიადაგზე ბევრ გაუგებრობას და უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი. ადგილობრივი ამხანაგები უიმედობას მიეცნენ, მათ ეჭვი შეუვიდათ მიწის რეფორმის მოკლე დროში დასრულების შესაძლებლობაში. გლეხები მთელი სიმწვავით განიცდიდენ არსებული მდგომარეობის არანორმალობას და უცდიდნენ იმ მომენტს, როცა საბჭოთა ხელისუფლებისაგან იქნებოდა მიღებული გადაჭრილი ზომები მის მოსასპობად, სოფლად ფეოდალურ ნაშთების ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად.

რა იყო იმ საკვირველი მოვლენის მიზეზები, რომლებმაც დამბლა დასცეს ჩვენს ნებისყოფას და ხელი შეგვიშალეს მიწით ღარიბ გლეხკაცობის დაკმაყოფილების საქმეში!

ჩვენ ავღნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მომენტებს. აგრარულ რეფორმის გამტარებელი აპარატი არ აღმოჩნდა თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ბიუროკრატიულ მიწერ-მოწერაში იხრჩობოდა ცოცხალი საქმე. მიწის ძირითადი დეკრეტის „სენატორული“ განმარტებები ამახინჯებდენ მის აზრს და აძნელებდნენ საკითხის შესაფერისად გადაჭრას.

ადგილებს, რომელნიც უშუალოდ არიან დაინტერესებული რეფორმის სასწრაფო გატარებაში, ფაქტიურად წართმეული ჰქონდათ ინიციატივის უფლება. თვით ადგილობრივი სასოფლო საადგილ-მამულო კომისიებში ბევრგან შეიჩრნენ არა რევოლიუციონური ელემენტები. საგრძნობი იყო აგრეთვე ტეხნიკურ პერსონალის სიმცირე და სხ.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი და ყოვლად მიუღებელი იყო. გლეხებს უნდა მიეღოთ მიწა **ყოველ მიზეზის გარეშე.** საბჭოთა ხელისუფლებას დაუზოგველად უნდა აღეკვეთა და მედგრად გადაელახა ყველა ამ გზაზე მდგარი დაბრკოლებანი.

ასეც ხდება, მთავრობამ აიღო მაგარი კურსი მიწის რეფორმის სფეროში. ცაკის საგანგებო სესიამ მიიღო კატეგორიული დადგენილება აგრარულ რეფორმის დამთავრების შესახებ ა. წ. 15 მარტამდე.

ხელისუფლების ნაბიჯს უკვე მოაქვს სასურველი შედეგები. ხალხი აღფრთოვანებულია. ის უშუალო და ცხოველ მონაწილეობას იღებს იმ უკულმართობის მოსპობაში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სულს უხუთავდა მას.

ბორჩალოს მაზრიდან მიღებულ ცნობით, რომელიც დაიბეჭდა გაზეთის გუშინდელ №-ში, იქ უკვე დაუწყიათ მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევა და გლეხებზე დარიგება. ერთი კვირის განმავლობაში ჩამორთმეულია რამოდენიმე ასეული დესეტინა.

დღეს ვათავსებთ წერილს გორის მაზრიდან, საიდანაც სჩანს, რომ იქ დაწყებულა გამალებული მუშაობა. სოფელ რუისში ჩამორთმეულია კულაკებისა და მუქთა-ხორებისაგან 753 დღიური, ტყვიავში—225 დღიური. ასევე ხდება დანარჩენ რაიონებშიც. კონფისკაცია სწვდება აგრეთვე მსხვილ მემამულეთა და ბრწყინვალე თავადების სახლებსაც. გლეხები აღტაცებით გაიძახიან:

აი, ახლა მოვიდნენ ბოლშევიკებიო. ერთი სიტყვით გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეხლა ხდება ნამდვილი აგრარული რევოლიუცია.

მთელი ეს მუშაობა მიმდინარეობს მწყობრად. მუშაობას ხელმძღვანელობენ განახლებული საადგილ-მამულო კომიტეტები აღმასკომების კანტროლ ქვეშ და აგრეთვე გაჯანსაღებული მიწად-მოქმედების კომისარიატი ცენტრიდან.

დაწყებული მუშაობა დაკვრითი წესით უნდა ჩატარდეს მთელს რესპუბლიკაში.

ძირს მემამულეები, მთელი მიწა მშრომელ გლეხობას,—ყველაზე უფრო პოპულიარული ლოზუნგია დღეს სოფლად, და ეს ლოზუნგი უნდა განხორციელდეს გადაუხვევლად და სისრულით. გლეხმა აუცილებლად უნდა მიიღოს მიწა მარტის შუა რიცხვებამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა დაიწყება საგაზაფხულო თესვა, რათა ის გაძლიერებული ენერგიით და ხალისით შეუდგეს მის სარგებლობაში გადასულ მიწის ხვნა-თესვას.

საადგილ-მამულო დამოკიდებულებაში დღემდე დარჩენილი უმზგავსოების აღმოფხვრით მშრომელი გლეხობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება საბჭოთა ხელისუფლებას, უფრო მედგრად დაიცავს რევოლიუციის მონაპოვართ; ამასთან ეს იქნება მაგარი სტიმული სასოფლო მეურნეობის აღორძინების და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების.

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ ცაკის სესიის გადაწყვეტილება აგრარულ რეფორმის დამთავრებაზე 15 მარტამდე სავსებით იქნება განხორციელებული.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების და სათანადო დაწესებულებების ამოცანას შეადგენს ამ მხრივ მაქსიმალური ენერგიის გამოჩენა.

ვინც ამ საქმეში გამოიჩენს დანაშაულებრივი გულგრილობას, სიზანტეს; ვინც მოინდომებს ხელი შეგვიშალოს მის შესრულებაში,—ის იქნება მშრომელთა ბატონობის დაუძინებელი მტერი და, როგორც ასეთი, აილაგმება საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე ხელით.

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ამხ. ქ. ცეტკინის სიტყვა.

პეტროგრადის პროლეტარიატისაგან გამოგზავნილი დროშის ჩაბარება. სალამი ამხ. ლენინს და საბჭოთა რუსეთს.

ბერლინი. 28 იანვ. დღეს გაიხსნა ლეიპციგის პარტეიტაგი. ფიქრობენ, რომ იგი 4 დღე გაგრძელდება.

განსაკუთრებით შინაარსიანი იყო პირველ სხდომაზე ამხ. კლარა ცეტკინის სიტყვა. ამ სიტყვის მთავარ თემას შეადგენდა რურის საკითხი.

„პარტეიტაგი მეტად მძიმე მომენტში შეიკრიბაო,—სთქვა მან,—შეთანხმდებიან თუ არ შეთანხმდებიან მძიმე მრეწველობის წარმომადგენლები რეინის იქითა და აქეთა მხარეზე ამით საქმე არსებითად არ შეიცვლება: სულ ერთია გერმანია გადაიქცევა იმპერიალისტური ანტანტის კოლონიათ“.

ამხ. ცეტკინამ რელიეფურად გაუსვა ხაზი იმას, რომ თუ გერმანია გადაიქცა კოლონიად, მაშინ კაპიტალისტური გერმანია მიიღებს ნადავლის ნაწილს და ეს დააკმაყოფილებს მას მაშინ, როდესაც გერმანიის პროლეტარული მასები არასოდეს არ დასთანხმდებიან გახდენ უცხოეთის კაპიტალის მონებათ. გერმანიის მუშებს, ამხ. ცეტკინის სიტყვით, ორი მტერი ყავს, ორივე ერთნაირად საშიშარი და ორივეს წინააღმდეგ გერმანიის პროლეტარიატმა უნდა იბრძოლოს ერთნაირი ენერგიით. რურის მუშები არასოდეს არ დაივიწყებენ ნოსკეს ბანდების გამოსვლებს, არც იმ უღელს, რომლის ქვეშაც ისინი იტანჯებოდენ რურის დაკავებამდე სტინესის წყალობით. მქუხარე ტაში გამოიწვია ამხ. ცეტკინის შემდეგმა სიტყვებმა: **„პუანკარე შეიძლება დამარცხებულ იქნას რურში, იმ შემთხვევაში, თუ ამავე დროს დამარცხებული იქნება კუნო შპრეს ნაპირებზე და პირიქით“.**

შეეხო რა სოც.-დემოკრატების პოზიციას ცეტკინმა ხაზი გაუსვა, რომ სოც.-დემოკ. პარტიამ ხელახლა განაცხადა უარი ერთიან პროლეტარულ ფრონტის შექმნაზე, რათა ამის ნაცვლად მოეწყო კავშირი ბურჟუაზიისთან. სოციალ-დემოკრატიული პრესის დამოკიდებულება ამხ. კალინინის ნოტისადმი და სიჩუმე რურის ოკუპაციის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციის დროს, იმ დემონსტრაციის, რომელიც მოაწყო რუსეთის, იტალიის და საფრანგეთის პროლეტარიატმა, ამხ. ცეტკინის აზრით, აშკარად ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატების თავის მოხრას ნაციონალიზმის წინაშე.

ბრძოლას, რომელიც სწარმოებს რურის ოლქში ნახშირის და მადნისათვის, ამხ. ცეტკინი ხსნის კაპიტალიზმის კრახით, რომელიც გერმანიაში ღუპავს მრეწველობას.

დასკვნაში ამხ. ცეტკინი ამბობს, რომ მხოლოდ პროლეტარულ დიქტატურას შეუძლია აღადგინოს გერმანიის ეკონომიური კეთილდღეობა, რომ პარტეიტაგის ამოცანა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ განმტკიცებულ იქნეს კომუნისტური პარტია ორგანიზაციულად, იდეოლოგიურად და პოლიტიკურად, რის შემდეგ პროლეტარულ მასებს შეუძლიათ განავითარონ უდიდესი აქტივობა. „გვეყო ლოდინი, საჭიროა ბრძოლა“, დაამთავრა თავისი სიტყვა ამხ. ცეტკინამ.

ლეიპციგის პარტიის წარმომადგენელის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, მთელი დარბაზის მქუხარე ტაშის ქვეშ ამხ. ცეტკინმა გადასცა პარტეიტაგს წითელი დროშა, რომელიც პეტროგრადის საბჭომ გაუგზავნა.

თავის მხრივ მადლობის ნიშნად პარტეიტაგმა დაადგინა ასეთივე წითელი დროშა გაუგზავნოს რუსეთის პროლეტარიატს.

პროლეტარიატის წინამძღოლთა ამხ. ლენინის, მონმუსოს და კაშენისადმი მისალმების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია მადლობა საბჭოთა რუსეთისადმი.

წაკითხული იქნა მანიფესტი, რომელიც მიმართულია მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისადმი.

რადიო-ტელეგრამები

რურის ოლქის ოკუპაცია

ფრანგების წინსვლა.

მოსკოვი, 7 თებერვალი. უკანასკნელ დროს ფრანგებმა წაიწიეს წინ 26 მილით: გაზეთები იტყობინებიან, რომ შესაძლებელია შემდეგი წინსვლა.

კუნოს განცხადება.

მოსკოვი, 8 თებერვალი. რურიდან დაბრუნების შემდეგ მეიტფალიის ლანდტაგში კუნომ განაცხადა, რომ გერმანიის პოლიტიკის მთავარ მიზანს ამ ჟამად შეადგენს წინააღმდეგობის გაწევა ბოლომდე საფრანგეთის შემოსევისათვის.

ფრანგები შევიდნენ ბადენში.

რომი, 8 თებერვალი. ბადენის ლანდტაგის თავმჯდომარემ პროტესტი განაცხადა ფრანგების ბადენში შეჭრის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ ამ შეჭრას ტენდენცია აქვს გამოყოს სამხრეთის გერმანია ჩრდილოეთისაგან.

კუნოს რურში ჩასვლის აკრძალვა.

ლონდონი, 8 თებერვალი. საფრანგეთის მთავრობამ აცნობა კანცლერ კუნოს, რომ მას აკრძალული აქვს რურში ჩასვლა და თუ ის შეეცდება იქ ჩასვლას, საფრანგეთის მთავრობა მიიღებს ახალ რეპრესიულ ზომებს.

მოსამსახურეთა მოსყიდვა.

ბორდო, 8 თებერვალი. საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებმა აცნობეს გერმანელ მოხელეებს, რომლებიც განაგრძობენ თავის მუშაობას, რომ გერმანიასთან მოლაპარაკების დროს განსაკუთრებული მუხლში აღიარებულ იქნება მათთვის ზედმეტი ჯამაგირის და პენსიის მიღება.

რკინის გზელთა გაფიცვა.

მოსკოვი. 8 თებერვალი. რურის რკინის გზელთა გაფიცვა განახლდა.

სურსათის ფასები.

მოსკოვი. 8 თებერვალი. სასურსათო საგნების ფასებმა რურის ოლქში აიწია: შოთი პური—7000 მარკა ღირს, ერბო—18000 მარკა კილოში.

საფრანგეთის ჯარების თავის მოყრა.

მოსკოვი. 8 თებერვალი. საფრანგეთის ჯარებმა გასწყვიტეს სარკინიგზო კავშირი ფრანკფურტსა და მანჰეიმის შორის. ლიუდვიგსჰაფენში გროვდება საფრანგეთის ჯარი. მოელიან ფრანგების მიერ მანჰეიმის დაჭერას.

ადამიანის სიცოცხლის დაფასება.

მოსკოვი, 8 თებერვალი. დიუსელდორფში ფრანგებმა უცაბედათ მოჰკლეს გერმანელი გოგო. საფრანგეთის მმართველობამ მოკლულ ბავშვის დედმამას, ბავშვის სანაცვლოთ ფული შეაძლიეს. გერმანელი ხელისუფლებამ ამის გამო პროტესტი განაცხადა და აღნიშნა საქციელის უსირცხვობა.

კუნოს ემუქრებიან.

მოსკოვი, 8 თებერვალი. კუნომ მიიღო რამოდენიმე წერილი, რომლებშიაც მემარჯვენე ელემენტები ემუქრებიან მას სიკვდილით, იმ შემთხვევაში თუ ის საფრანგეთს დაუთმობს.

კუნო რურის ოლქში.

მოსკოვი, 8 თებერვალი. კუნომ მოიარა რურის ოლქი და საუბარი ჰქონდა მწარმოებლებთან, მუშებთან და სახელმწიფო მოსამსახურეებთან. ამის შესახებ პრესა ფიქრობს, რომ გერმანიამ გადასწყვიტა განაგრძნოს წინააღმდეგობის პოლიტიკა. მიღებულია ცნობები ახალ გაფიცვებისა და საბოტაჟის შესახებ.

რურის გარშემო

გაფიცვები.

ჰანნოვერი. 8 თებ. რეკლინ ჰაუზში სამთო მუშებმა სახელმწიფო მაღაროებში 4 საათის საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადა. გაფიცვა გამოწვეულია რამოდენიმე სამთო მუშის დატუსაღებით.

რეპრესიული ზომები.

ჰანნოვერი. 8 თებ. საფრანგეთის პრესა იუწყება ახალი რეპრესიული ზომების შესახებ, რომელიც მდგომარეობს—რურის ოლქიდან ფოლადის და რკინის წარმოების საგნების გამოტანის აკრძალვაში.

„ეკო-დე-პარი“ იტყობინება, რომ ფოლადის მრეწველობის პროდუქტის შეტანის აკრძალვასთან ერთათ გატარებული იქნება რკინის მადნისა და ლომის შეზიდვის ბლოკადა, რომლებიც აუცილებლათ საჭიროა ქარხნებისათვის ნედლი მასალის მოსამარაგებლათ.

დატუსაღებულია ურჩობისათვის.

ჰანოვერი. 8 თებ. დიუისბურგის ბურგომისტრმა, მიუხედავათ ბელგიელ გენერლის განკარგულებისა, არ დასტოვა თავისი თანამდებობა, რის გამო ის დატუსაღებული და გადასახლებულია.

ლოიდ-ჯორჯის აზრი.

მოსკოვი. ლოიდ-ჯორჯმა ინტერვიუში განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია—დიდი შეცდომაა, რომელიც შეუძლებლათ ხდის სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტას და მღელვარებით იცავს მთელს მსოფლიოს. რურის ოკუპაციის საშუალებით საფრანგეთს არა მხოლოთ გერმანიის მიერ რეპარაციის გადახდის უზრუნველყოფა სურს, არამედ ევროპაში თავისი ბატონობის განხორციელება.

საპროტესტო დემონსტრაცია.

მოსკოვი. 8 თებ. ამსტერდამიდან მიღებული ცნობით ჰოლანდიის სოციალისტურმა პარტიამ და პროფკავშირების საბჭომ გადასწყვიტეს მოაწყონ ჰოლანდიის ქალაქებში მთელი რიგი საპროტესტო დემონსტრაციისა რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

იტალია და რური.

მოსკოვი. 8 თებ. რომში ოფიციალურად უარყოფენ პარიზის ცნობას იტალიის გადაწყვეტილების შესახებ, გაგზავნოს 50.000 მუშა რურის და რეინის ოლქებში.

ბოიკოტი.

ჰანოვერი. 8 თებ. დორტმუნდელ, ბოხუმელ და ვიტენელ ვაჭრობამ დაადგინა არ მიჰყიდოს საქონელი მტრის ჯარებს.

ნახშირი ბლომადაა. მაგრამ გატანა ჭირს.

ჰანოვერი. 8 თებ. „პტი-პარიზიენი“ იუწყება, დიუსელდორფიდან მოსული ცნობების თანახმად ნახშირის ყველა საწყობი შენობები სავსეა ნახშირით, მაგრამ გაზიდვა სჭირს, რადგან ტრანსპორტი სრულიად მოშლილია.

რკინის გზა სავსებით გაუქმებულია.

ჰანოვერი. 8 თებ. „პტი ჟურნალ“-ი გადმოგვცემს რურის ოლქის მეტად გაჭირვებულ მდგომარეობას. რკინისგზის ქსელი 200 კილომეტრის მანძილზე სრულიად გაუქმებულია. რკინის გზის დანარჩენ ქსელზე მატარებლები დიდი გაჭირვებით მოძრაობენ. მიმოსვლა დიუსელდორფიდან მეცამდე მატარებლით, რომელზედაც ფრანგ მოსამსახურეთა პერსონალი მუშაობს, გრძელდება 30 საათზე მეტი.

გერმანული კანონმდებლობის გაუქმება.

ჰანოვერი. 8 თებ. რეინლანდის მოკავშირეთაშორისო კომისიამ დაადგინა 50 მილიონ მარკით დაჯარიმდეს ყველა მსაჯულები და მოხელეები, რომელნიც გერმანული კანონმდებლობის მიხედვით მოქმედებენ. გერმანული პრესა ამ დადგენილებას სთვლის ძალადობის ახალ აქტად, რომელსაც არავითარი უფლებრივი საფუძველი არა აქვს.

ბლოკადით ვერაფერი გააწყეს, ახლა რკინის გზას აფეთქებენ.

ჰანოვერი. 8 თებ. მიუხედავად 1 თებერვლიდან დაწყებული ბლოკადისა, გერმანიის დაუკავებელ ადგილებში ესსენიდან უკანასკნელ დღეებში გაგზავნილია 100 მატარებელი ნახშირი. ზოგ ადგილებში ფრანგებმა რკინის გზა ააფეთქეს, რის გამო გერმანიასთან მიმოსვლა შეჩერებულია.

სამხედრო პიკეტების საშუალებით საბაჟოებზე კონტროლის დაწესება.

პარიზი. 8 თებერვალი. დიუნბურგიდან იუწყებიან, რომ პიკეტების თანხლებით საფრანგეთის საბაჟოების მოხელეებმა საბაჟოების კონტროლის სამართველო დაიკავეს.

დაკავებულ რაიონში გერმანელ მინისტრების შესვლის აკრძალვას აპირებენ.

პარიზი. 8 თებერვალი. დღემდე დაკავებულ ადგილებში გერმანელი მინისტრების შესვლა სრულიად თავისუფალი იყო. დღეს საოკუპაციო ხელისუფლებამ მიიღო სათანადო ზომები ახალი სანქციის გამოყენების მიზნით.

პუანკარე შეცდა.

ნაუენი. 8 თებერვალი. პარიზის ნაციონალისტური წრეები ჰკიცხავენ პუანკარეს მოქმედებას იმის გამო, რომ მან კუნოს საშუალება მისცა ენახა რური, რასაც შედეგათ თითქოს მოსახლეობის წინააღმდეგობის და ურჩობის გადიდება მოჰყვა.

გერმანიის ამბები

უთანხმოება გერმანიის სოციალ-დემოკრატებს შორის.

მოსკოვი. 8 თებერვალი. უთანხმოება გერმანიის სოციალ-დემოკრატების რიგებში, რომელმაც თავი იჩინა ნიურენბერგის ყრილობაზე, ძლიერდება. რურის ოკუპაციის საკითხის განხილვის დროს, ლანდტაგში სოციალ-დემოკრატების ერთმა ნაწილმა პროტესტი გამოსთქვა ერთიან ნაციონალურ ფრონტის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციის წინააღმდეგ და ხმა მისცა კომუნისტებთან ერთად.

პროვინციებში სოციალ-დემოკრატები ხშირად უფრო მემარცხენე პოზიციას ადგანან, ვინემ პარტიის ცეკა.

ჰანოვერში სოციალ-დემოკრატებმა მოიწვიეს საერთო თათბირი კომუნისტებთან ერთად და შეთანხმებულად გამოაქვეყნეს ანტი-ფაშისტური მოწოდება.

გერაში და ლეიპციგში მიღებულია კუნოს საწინააღმდეგო რეზოლიუციები.

დიუსელდორფში, ტიურინგიაში, საქსონიაში და ბესსენში ესდეკების პრესა უფრო მემარცხენეა, ვინემ ფორვერტსი.

ახალი მთავრობა საქსონიაში.

მოსკოვი. 8 თებერვალი. გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კრებაზე, რომელიც გაიმართა ლეიპციგში საქსონიის ახალი მთავრობის შედგენის საკითხის გამო, მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს კოალიციას ბურჟუაზიულ პარტიებთან. ფიქრობენ, რომ მთავრობა შედგენილი იქნება სოციალ-დემოკრატიული უმცირესობისაგან.

ლიუდენდორფი.

მოსკოვი. 8 თებერვალი. გერმანელ გლეხთა ნაციონალურ კავშირის ყრილობის გამო კლიაგენფურტში ჩავიდა ლიუდენდორფი. ყველა სადგურებზე მუშები ხვდებოდენ გენერალს საწინააღმდეგო დემონსტრაციებით. კლიგენფურტში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება მუშებსა და რეაქციონერებს შორის. ვენის პოლიციამ წინადადება მისცა ლიუდენდორფს დააჩქაროს თავისი უკან გამგზავრება.

ლოზანის კონფერენცია

კერზონის ჩასვლა ლონდონში.

მოსკოვი, 8 თებ. 6 თებერვალს კერზონი ჩავიდა ლონდონში, ინახულა მეფე და კაბინეტის სასწრაფო სხდომაზე გააკეთა დაწვრილებითი მოხსენება ლოზანას კონფერენციის ჩაშლის მიზეზების შესახებ. სხდომის შედეგი გამოურკვეველია. სამხედრო მოქმედების დაუყოვნებლივ დაწყების შესაძლებლობას ყველა უარყოფს.

ინგლისის პრესის აზრი.

მოსკოვი, 8 თებ. ინგლისის პრესა ირწმუნება, რომ ოსმალები მალე იძულებული იქნებიან მიიღონ ინგლისის წინადადება, დარწმუნდებიან რა, რომ კონსტანტინოპოლი მათ არ დაუბრუნდებათ, მანამ ხელს არ მოაწერენ საზავო ხელშეკრულებას.

პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ბონარ ლოუ კონფერენციის ჩაშლის მთავარ მიზეზათ სთვლის საფრანგეთის ცდას გამართოს სეპარატიული მოლაპარაკება ოსმალეთთან.

ფრანგები და ოსმალები.

მოსკოვი, 8 თებ. „ტანი“ იტყობინება, რომ საფრანგეთის დელეგატს კონფერენციაზე ლოზანადან წამოსვლის წინ საუბარი ჰქონდა ისმეტ-ფაშასთან. საუბარი განსაკუთრებით გულითადი ხასიათის იყო.

ისმეტ-ფაშის განცხადება.

მოსკოვი, 8 თებ. რეიტერის სააგენტოს უკანასკნელ შეუმოწმებელ ცნობების თანახმად ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ ის არ სთვლის კონფერენციას დამთავრებულად და მოელის ამის შესახებ ოფიციალურ ცნობას.

ისმეტ-ფაშამ გაზეთების კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ოსმალეთს არ სურს მტრული მოქმედების განახლება არც საბერძნეთის და არც ინგლისის წინააღმდეგ.

ფასიან ქაღალდების დაცემა.

მოსკოვი, 8 თებ. ლოზანას კონფერენციის ჩაშლის შედეგია ფასიანი ქაღალდების ღირებულების დაცემა ევროპის ყველა ბირჟებზე.

მოკავშირეები და ოსმალები.

მოსკოვი, 8 თებ. რადგან მოკავშირეები კონფერენციის ჩაშლას ოსმალების შეურიგებელ პოზიციას აბრალებენ ისმეტ-ფაშამ კაპიტულიაციის საკითხის შესახებ განაცხადა, რომ კონფერენცია დამარცხდა უმთავრესად იმის გამო, რომ მოკავშირეებს სურდათ ოსმალეთის დამონება ეკონომიურის მხრივ.

ამერიკა და ოსმალეთი.

მოსკოვი, 8 თებ. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით, ამერიკა მიუხედავად კონფერენციის ჩაშლისა შეეცდება სეპარატიულად შეუთანხმდეს ოსმალეთს.

საზავო ხელშეკრულებისთვის ხელის მოწერის გამო.

მოსკოვი, 8 თებ. ლონდონის ჟურნალისტებთან საუბარში კერზონმა განაცხადა, რომ ოსმალების მიერ უარის თქმა ხელშეკრულებისათვის ხელის მოწერაზე, მოკავშირეებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. კერზონი დარწმუნებულია, რომ ოსმალები ახლო მომავალში შესცვლიან თავის პოზიციას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჰკარგავენ იმ მისაღებ პირობებს, რომელიც მათ წარუდგინეს გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა. კერზონის სიტყვით მოკავშირეები წავიდენ უდიდეს დათმობაზე, არავითარი ხმები სეპერატიულ ხელშეკრულების შესახებ არ გამართლდება.

კონფერენციის გადადება.

მოსკოვი, 8 თებ. ურთიერთობის საბოლოვო გაწყვეტის ასაცილებლად, რაც აუცილებლად საომარ მოქმედების გაგრძელებას გამოიწვევდა, 6 თებერვალს ოფიციალურად გამოცხადებულია კონფერენციის გადადების შესახებ. მოლაპარაკების ხელახალი დაწყება გამოცხადებული იქნება დიპლომატიურის საშვალებით.

ისმეტ-ფაშის გამგზავრება.

ბორდო. 8 თებერვ. ისმეტ-ფაშამ უხერხულათ ჩასთვალა მოკავშირეებისათვის ახალი წერილობითი წინადადების გაგზავნა ანგორის მთავრობის დაუკითხავათ და გაემგზავრა ლოზანიდან. წასვლის წინ მან განაცხადა, რომ ის მზათ არის დაბრუნდეს, თუ კონფერენცია ხელახლა იქნება მოწვეული.

მოკავშირეები ზავის ჩამოგდების იმედს არ კარგავენ.

ბორდო. 8 თებერვ. „ტანი“ იუწყება, რომ ფრანგები ძველებურათ იმედობენ, რომ ზავის ჩამოგდება შესაძლებელია.

ლორდ კერზონმა პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კონფერენცია არ არის ჩაშლილი.

ოსმალეთის ბრალია.

ჰანოვერი, 8 თებერვ. ლორდ კერზონმა განუცხადა ინგლისის პრესის წარმომადგენლებს, რომ მთელი პასუხისმგებლობა ლოზანას კონფერენციის უკანასკნელი გაუგებრობისა ედება ოსმალეთის დელეგატებს.

ახლო აღმოსავლეთში

ინგლისის კრეისერები ახლო-აღმოსავლეთისაკენ.

მოსკოვი, 8 თებერვ. მალტიდან იტყობინებიან, რომ ახლო აღმოსავლეთში გაიგზავნა ინგლისის 4 კრეისერი.

საბერძნეთის განზრახვა.

მოსკოვი, 8 თებერვ. საბერძნეთის სამხედრო წრეებში გაბატონებულია აზრი, რომ აღმოსავლეთ ფრაკიის დასაბრუნებლად აუცილებლათ საჭიროა ომი ოსმალეთთან.

შთაბეჭდილება სტამბოლში.

ჰანოვერი, 8 თებერვ. „ტაიმსი“-ს ცნობით, ლოზანას კონფერენციის შეწყვეტას სტამბოლში არ მოუხდენია დიდი შთაბეჭდილება. ქემალ-ფაშა თავდაჭერით შეხვდა ამ ამბავს და გამოსთქვა მწუხარება, რომ დიპლომატიამ ვერ მიაღწია ვერავითარ შედეგებს.

ერთა ლიგა

საკითხი რურის შესახებ.

მოსკოვი, 8 თებერვ. ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე ბრანტინგმა აღძრა საკითხი რურის ოკუპაციის [illegible] საბჭომ ამ საკითხის განხილვა უდროოულათ ჩასთვალა. ბრანტინგმა ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი წინადადების უარყოფა გამოწვეულია [illegible] თის მთავრობის გავლენით.

მდგომარეობა იტალიაში

ანტიფაშისტური შეთქმულება.

რომი, 8 თებ. ფოსტებში კორესპონდენციების გასინჯვა უფრო და უფრო ადასტურებს ხმებს ანტი-ფაშისტური შეთქმულების შესახებ. პოლიციის ცნობების თანახმად შეთქმულების ცენტრი არის ტრიესტში. ცხადია, შეთქმულებთა გამოსვლა ერთდროულად უნდა მომხდარიყო მთელ იტალიაში და ამ შეთქმულების ლიდერს ჰქონდა პირდაპირი კავშირი კომინტერნთან. მთავარი ბინა არის რომში და ეწოდება „ცენტრალური რევოლიუციონური აღმასრულებელი კომიტეტი“. იტალიის პოლიციის მთელი ყურადღება და ღონისძიება მიპყრობილია შეთქმულების წევრთა აღმოჩენისაკენ და მათი პიროვნების გამოკვლევაზე. შეთქმულება აღმოჩენილ იქნა პოლიციის მიერ სრულიად შემთხვევით. პოლიციამ მიიღო ცნობა, ვიღაც ჯოვანი გორდიგის საეჭვო მოღვაწეობაზე, რომელიც ცნობილი იყო, როგორც საშიშარი კომუნისტი. მისი სახლის გაჩხრეკამ აღმოაჩინა ფულის დიდი თანხა. ამასთან ერთად კომინტერნის ხელმოწერილი პროკლამაცია, რომელშიაც ფაშისტები წოდებული იყვნენ ჯალათებად და რომელშიაც იტალიის მუშებს მოუწოდებდნენ ფაშისტების დასამხობად; მას აღმოაჩნდა კიდევ იტალიის კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიის 5 წლის თავის დღესასწაულისათვის

გმირული წითელი არმიის დამსახურებამ მთელი მუშათა კლასისა და ყველა მშრომელი მასსების წინაშე წარუშლელი სახელი მიანიჭა მას და ყოველი მუშისა და გლეხებისათვის ძვირფასი გახადა ის.

დიდათ მნიშვნელოვანია წითელი არმიის განსაკუთრებული დამსახურება ამიერ-კავკასიაში. წითელმა არმიამ აქ ხელი შეუწყო მუშების და გლეხების დაუძინებელი მტრების განდევნას ამიერ-კავკასიის ტერიტორიიდან, ხელი შეუწყო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. წითელ-არმია იცავს აქ ფედერაციის საზღვრებს, ქმნის რა ამით მუშაობის გაფართოების შესაძლებლობას სასოფლო-მეურნეობის და მრეწველობის აღდგენის სფეროში.

საბჭოთა რესპუბლიკები, რომელნიც ამ ჟამად სდებენ ისტორიაში ჯერ გაუგონარ სოციალისტურ კავშირს, წითელი არმიის გამარჯვების საშუალებით, გამაგრდენ და გადაიქცენ მსოფლიო მნიშვნელობის ძალათ. წითელი არმიის როლი ეხლაც ძლიერ დიდია. ახალი თავდასხმების საფრთხე ჯერ განვლილი არ არის. კაპიტალისტურ ქვეყანას არ სურს განიარაღება. პირიქით ის ისევ ლესავს მახვილს და ამზადებს ახალ ომებს. ასეთ დროს ჩვენი წითელი არმია უნდა გადაიქცეს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსების ყურადღების ცენტრად. ყველა საბჭოთა ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, და ყველა მუშები და გლეხები ვალდებული არიან ყოველ მხრივ იზრუნონ წითელი არმიის შესახებ. საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება, რათა წითელმა არმიამ შემცირებულმა რამდენადაც ეს შესაძლებელია, შესძლოს შესრულება თავისი დიადი ამოცანის—საბჭოთა ხელისუფლების დაცვის ყოველგვარი თავდასხმისა და ძალადობისაგან.

1923 წლის 23 თებერვალს სრულდება 5 წელი დღიდან რ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ დეკრეტის გამოქვეყნებისა მუშათა და გლეხთა წითელი არმიის დაარსების შესახებ. ამ დეკრეტით იწყება ჩვენი გამარჯვების ორგანიზაცია ბურჟუაზიის ძალაუფლების ჩამოგდების შემდეგ. **წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღე** უნდა იქნეს დიდი დღესასწაული ყველა მშრომელთათვის. წითელი არმია არის მუშების და გლეხების კავშირის განსახიერება. ხუთი წლის თავის დღესასწაული უნდა გადაიქცეს ყველა მშრომელთა და წითელი არმიის მჭიდრო შეკავშირების და გაერთიანების დღეთ. მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მატროსების დეპუტატების საბჭოს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიიღონ ყოველგვარი ზომები წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღესასწაულის ღირსეულად ჩატარების უზრუნველყოფისათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასკომის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამ. კავკ. ცენტრ. აღმასკ. მდივანი ბ. ტალიგლი.

2 თებერვალი 1923 წ.

ქ. თბილისი.

მუნისტების წერილები. იტალიის შესანიშნავ ცენტრებში ვრცელდებოდა პროკლამაციები „წითელ რიგებში“ ჩაწერის მოწოდებებით. ტრიესტის ცენტრალურ პუნქტიდან კომუნისტური პროპაგანდა ვრცელდებოდა იტალიის ახალი პროვინციების სლავიანურ ხალხებში. იქ იპოვნეს მრავალი პროკლამაციები, რომლებიც დაწერილი იყონ სლავიანურ ენაზე. პოლიციის მიერ დატუსაღებულია კომუნისტური პარტიის მრავალი ლიდერები.

პარლამენტში.

პარიზი. 8 თებერვ. „ჯიორნალე დ' იტალია“ იუწყება, რომ კატახზარში 18 კომუნისტია დატუსაღებული, ტურინში—26.

რომი. 8 თებერვ. 7 თებერვალ ღამეს დატუსაღებულია 40 კომუნისტი. დატუსაღებულია კომუნისტურ პარტიის გენერალური მდივანი დოცცა.

კომუნისტების დაპატიმრება

მოსკოვი, 8 თებერვალი. იტალიის მრავალ ქალაქებში მოხდა კომუნისტების დატუსაღება, რომელთაც ბრალდებათ კომინტერნის მანიფესტის გავრცელება. სულ დაპატიმრებულია 100 კაცი.

გერმანიის ნოტა

მოსკოვი, 8 თებერვალი. გერმანიის წარმომადგენელმა პარიზში გადასცა საფრანგეთის მთავრობას საპროტესტო ნოტა საფრანგეთის ჯარის-კაცების ძალადობის წინააღმდეგ რურის ოლქში.

საკითხი მემელის შესახებ

კომპრომისული გადატრიალება.

მოსკოვი, 8 თებერვალი. ანტანტის წარმომადგენლებმა წარადგინეს კომპრომისული გადაწყვეტილება მემელის საკითხის შესახებ: მემელის მხარე უერთდება ლიტვას, ნავთსადგური ცხადდება თავისუფლად. ლიტვის გარეშე საქმეთა სამინისტროს გაზეთი აცხადებს, რომ უკანასკნელ პირობაზე ლიტვა არ დასთანხმდება.

საყოველთაო შრომის ფედერაციის კონგრესი

კონგრესი.

მოსკოვი, 8 თებერვ. საყოველთაო შრომის ფედერაციის კონგრესმა უარყო შრომის უნიტარული კონფედერაციის წინადადება საერთო ყრილობის მოწვევის შესახებ. კონგრესზე ამსტერდამის ინტერნაციონალის ბელადმა ფიშენმა განაცხადა, რომ ჰააგის საზავო კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილება ომის წინააღმდეგ ენერგიული კამპანიის ორგანიზაციის შესახებ ამ ჟამად განუხორციელებელია, მუშათა მოძრაობის საერთო უძლურების გამო.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთის სოციალისტებს შორის.

მოსკოვი. 8 თებ. ლილში გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა. საფრანგეთის კომპარტიამ მიმართა ყრილობას წინადადებით, რათა მოწვეულ იქნეს ორთავე პარტიების დელეგატების კონგრესი ყველა პროლეტარულ ორგანიზაციების კონფერენციის მოსაწვევად ომის საფრთხის და რურის ოკუპაციის წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლის მიზნით. კომპარტიას არ წარუდგენია არავითარი წინასწარი პირობები პროლეტარულ ორგანიზაციების შეთანხმებულ მოქმედების შესახებ, მაგრამ სოციალისტურმა კონგრესმა მაინც არ მიიღო კომუნისტების წინადადება.

არხი ატლანტის და წყნარ ოკეანეებს შორის.

მოსკოვი. 8 თებ. ვაშინგტონის პრესის ბიუროს ცნობით, ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს ახალი არხის გაყვანა ატლანტის და წყნარ ოკეანეებს შორის. ამ სამუშაოსათვის საშუალებები გამოიძებნება პანამის არხის მოგებისაგან, რომელსაც იანვარში ჰქონდა მოგება ერთ ნახევარ მილიონ დოლარის რაოდენობით.

გაფიცვა ნიუ-იორკში.

მოსკოვი. 8 თებერვ. მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო ნიუ-იორკში დაიწყო სამკერვალო მრეწველობის 30,000 მუშის გაფიცვა.

სამკერვალო მრეწველობაში იმყოფება ნიუ-იორკის უფრო შეგნებული პროლეტარიატი. გაიფიცენ აგრეთვე ბავშების ტანთსაცმელების დამმზადებელი 10,000 მუშა.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობაზე.

მოსკოვი. 8 თებერვ. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობამ გამოაშკარავა პარტიის სრული ერთსულოვნება. ყრილობაზე ხაზი გაუსვეს ჩეხოსლოვაკიაში ფაშიზმის საფრთხეს და აქედან გამომდინარე პროლეტარიატის ყველა ძალების გაერთიანების აუცილებლობას.

გაფიცვა საარის ოლქში.

მოსკოვი. 8 თებერვ. იტყობინებიან, რომ საარის ოლქში გაფიცულია 75,000 სამთამადნო მრეწველობის მუშა, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

კაშენის პროცესის გამო.

მოსკოვი. 8 თებერვ. კომუნისტმა ლაფონმა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში შეიტანა შეკითხვა პოლიციის ყალბი ჩვენების გამო, რომლითაც მთავრობამ მოახერხა კაშენისათვის პარლამენტარული ხელშეუხებლობის უფლების წართმევა.

ავსტრია.

სკანდალი მთავრობის საბჭოში.

ჰანოვერი. 8 თებერვ. ვენიდან მთავრობის საბჭოს სხდომაზე მომხდარ სკანდალზე იუწყებიან. მოხდა შეტაკება სოციალ-დემოკრატებთან. სხვათა-შორის ყოფილ ეროვნულ კრების თავჯდომარისა და ეხლანდელი მთავრობის ვიცე-კანცლერის შორის მოხდა შეხლა-შემოხლა.

ჩინეთი.

გარეშე საქმეთა ახალი მინისტრი.

ბორდო. 8 თებერვ. გარეშე საქმეთა მინისტრის ჩივანგ-ფუს მაგივრათ დანიშნული უმაღლეს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ალფრედ სიჲზი.

წითელი ჩანაწერები

რუსეთი

სრულიად რუსეთის მიწად-მოწყობათა თათბირი

მოსკოვი. 8 თებერვ. 6 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის მიწათ-მოწყობის თათბირი, რომლის დანიშნულება არის მიწის კოდექსში აღნიშნულ ზომების პრაქტიკული დამუშავება.

სრ. რუსეთის ცენტრ. აღმასკომის მდივანმა საფრონოვმა, მიესალმა რა ც. აღ. კომ—ის სახელით თათბირს, აღნიშნა თათბირის დიდი მნიშვნელობა სოფელსა და ქალაქის შორის კავშირის განმტკიცებისათვის. მოხსენებით სასოფლო-სამეურნეო აგრარულ პოლიტიკის შესახებ გამოვიდა ამხ. მესიაცევი, რომელმაც სთქვა, რომ სახელმწიფო გავლენას ახდენს საგლეხო მეურნეობის ეკონომიურ ფორმებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი მნიშვნელობა თავისუფალ მიწათ-სარგებლობისა გამოიხატება ძველებურ ბატონ-ყმურ წესწყობილებების მოსპობის მისწრაფებაში, იმ წყობილების გაქარწყლებაში, რომელიც აბრკოლებს წარმოებითი ძალების განვითარებას.

მოხსენებით შრომითი მიწით-სარგებლობის შესახებ გამოვიდა ამხ. მირტოვი, რომელმაც აღნიშნა: „რამდენადაც ხუტორული და ნაკვეთიან მიწათ-სარგებლობის ფორმა უფრო პროგრესიულია, ვიდრე სათემო, იმდენათ ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ ამ ფორმებს და იმავე დროს დავეხმაროთ კოლექტიურ მიწათ-მოქმედების განვითარებას.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აგრარული კანონმდებლობა მიღებულია ადგილებზე დიდის კმაყოფილებით. კამათში აღნიშნული იყო მიწით სარგებლობის კოოპერატიულ ფორმებისათვის ყურადღების მიქცევის საჭიროება.

მოხსენებაში სახელმწიფო მიწის ქონების შესახებ მირტოვმა შესაძლებლათ აღიარა 'საბჭოთა მეურნეობების პროლეტარულ გლეხურ ორგანიზაციებისთვის იჯარით გაცემა.

საგარაკო საქმე.

მოსკოვი. 8 თებერვალი. საგარაკო საქმის გაუმჯობესების კომისიამ სახალხო ჯანმრთელობის კომისარის სემაშკოს თავმჯდომარეობით მიზანშეწონილად სცნო აგარაკების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა უზრუნველყოფის პირობით.

ქვა-ნახშირის წარმოება.

მოსკოვი. 8 თებერვალი. ქვა-ნახშირის წარმოების საბრუნავი კაპიტალის დასაარსებლად შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა გაილოს 8.400.000 ომამდე არსებული მანეთი.

ჩერნიშევსკის სახსოვრად.

მოსკოვი. 8 თებერვალი. სახალხო კომისართა საბჭომ მისცა სესხი ქალ. სარატოვს ჩერნიშევსკის სახელობის სახლის აღდგენისათვის და შეკეთებისათვის, კერძოდ იმ სახლის, სადაც დაიბადა ჩერნიშევსკი და სადაც მოწყობილია მისი სახელობის მუზეუმი.

ნავთის გადაზიდვა.

მოსკოვი. 8 თებერვ. გადაზიდვის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა 183 მილიონი ფუთი ნავთის კასპიის ზღვით გადაზიდვის გეგმა.

უმუშევართა ხელახალი რეგისტრაცია.

კოსკოვი. 8 თებერვ. მოსკოვის შრომის ბირჟაზე დასრულდა უმუშევართა ხელახალი რეგისტრაცია, რომელმაც მოგვცა რვა ათას ხუთასი უმუშევარი, ნაცვლად ათი ათას ხუთას უმუშევარისა.

შემოსავლის და ქონების კვალობაზე გადასახადი.

მოსკოვი. 8 თებერვ. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის კალინინის, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს კამენევის და ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილეს ვლადიმიროვის ხელმოწერით გაგზავნილი საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტებისადმი რადიო-დეპეშა, რომელშიაც წინადადება ეძლევა საჩქაროდ მოაწყონ საუბნო საგუბერნიო კომისიები შემოსავალის და ქონების კვალობაზე გადასახადის კომპანიისათვის, თავის დროზე წარმოადგინონ გადამხდელთა სია; მოაწყონ მათი სწორი შემოწმება და გაუგზავნონ საგუბერნიო ფინანსიურ განყოფილებებს ამ მუშაობისათვის თანამშრომლები. კომისიებმა უნდა შეამოწმონ საგუბერნიო ფინანსიური განყოფილებების მოქმედება გადასახადის მოკრეფის საქმეში.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი. 8 თებერვალი. სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ყრილობის გახსნის წინ, 5 თებერვალს გაიმართა საოლქო განყოფილებათა გამგეობის და რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტების თათბირი. იხილავდენ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლის დოლეცკის რუსეთის დეპეშათა სააგენტოს მოღვაწეობის და იმ პრაქტიკულ წინადადებათა შესახებ, რომელიც უნდა წარუდგინონ ყრილობას.

კრემლის სვერდლოვის დარბაზში, 5 თებერვალს საღამოზე გაიხსნა სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის მუშაკთა 4-ე ყრილობა. ყრილობას ესწრება 179 დელეგატი გადამწყვეტი ხმის და 54 სათათბირო ხმის უფლებით.

ყრილობას მიესალმა კომინტერნის, რუსეთის კომპარტიის ცეკას და გაზ. „პრავდას“ სახელით ამხ. ბუხარინი. მან აღნიშნა პროლეტარულ კომუნისტურ პრესის უდიდესი მნიშვნელობა და გავლენა, რაც აიხსნება მასებთან კავშირით. შეეხო რა ბეჭდვითი საქმის ამოცანებს, ბუხარინმა სთქვა: „უნივერსალიზმიდან ჩვენ უნდა გადავიდეთ სპეციალიზაციაზე, შრომის განაწილებაზე და მასებთან უფრო მჭიდრო დაკავშირებაზე. მხოლოდ მასასთან შედუღებით ჩვენ შეგვიძლია განვაგრძოთ წინსვლა და გავაუმჯობესოთ ჩვენი ბეჭდვითი საქმე“.

6 თებერვლის სხდომაზე თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბუხარინმა, რომელიც შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას, რურის ოკუპაციას და ლოზანას კონფერენციის ჩაშლას. ამხ. კალინინმა აღნიშნა, რომ პროლეტარული პრესას ათეული მილიონი მკითხველი ჰყავს, ხოლო ეს ავალდებულებს ბეჭდვითი საქმის მუშაკებს სათანადო ყურადღებით მოეპყრან გაზეთების ხარისხს.

ყრილობამ გაუგზავნა მისალმება გაზ. „რაბოჩაია მოსკვა“ და წიგნების გამომცემლობას „მოსკოვის მუშას“, რომელიც დღესასწაულობს მოღვაწეობის ერთი წლის თავს და რომელმაც დაამტკიცა, რომ პროლეტარების ძალებით შეიძლება მოეწყოს გაზეთის და წიგნების გამოცემის საქმე.

ცენტრალურ ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ინგულოვმა; მან აღნიშნა: ბეჭდვითი საქმის მუშაკთა შორის კამპანიის ჩატარების წყალობით ჩვენი პრესის გაუმჯობესების დარგში, ჩვენ თავიდან იქმნა აშორებული საგაზეთო კრიზისი.

ადგილობრივ გაზეთების უმრავლესობა მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა. ცენტრალური ბიურო აწარმოებდა ბეჭდვითი საქმის მუშაკთა და პირველ რიგში მუშა-კორესპონდენტების დაცვის კამპანიას. ცენტრალურმა ბიურომ დაადგინა შემუშავებულ იქნეს სპეციალური კანონი, რომელიც დაიცავს პრესის თანამშრომლებს დევნისაგან. ამ დადგენილებას მხარი დაუჭირა რუს. კომპარტიის ცეკამ და მიღებულ იქნა სახ. კომისართა საბჭოს მიერ, რომელმაც გამოჰყო სპეციალური კომისია კანონ პროექტის დასამუშავებლად. საორგანიზაციო საკითხში ცენტრალურმა ბიურომ მხარი დაუჭირა განათლების მუშაკთა კავშირის შიგნივ სექციის განმტკიცებას. სექციაში გაერთიანდებიან როგორც ჟურნალისტები, ისე ტეხნიკური პერსონალი.

ინგულოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა პრესაში და მუშაკთა წრეში ბურჟუაზიულ იდეოლოგიის შემოპარვის წინააღმდეგ.

მთელ რიგ ქალაქებიდან ყრილობამ მიიღო ცნობები მუშა-კორესპონდენტების კლუბების და ჟურნალისტების კურსების გახსნის შესახებ.

— საღამოს სხდომაზე წიგნების გამომცემლობის შესახებ მოხსენება გააკეთა მეშჩერიაკოვმა. 1918 წელში მოწყობილი სახელმწიფო გამომცემლობა ემსახურებოდა სახ. კომისარიატებს სათანადო გამოცემებით და აწარმოებდა ოქტომბრის რევოლიუციის პროპაგანდას. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ერთბაშად შესცვალა სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობის ხასიათი. სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა ისეთ ნაწარმოებების გამოცემას, რომელიც ბაზარზე საღდებოდა. თუ სახელმწიფო გამომცემლობა ამ გზას არ დაადგებოდა, კერძო პირები ჩაიდენდენ ამას. სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები შეადგენს მთელ დაბეჭდილ ფურცლების 2 | 3-ს.

პედაგოგ-კომუნისტების ნაკლულევანების გამო, გვიხდება ძველი სახელმძღვანელოების გამოყენება. ქალაქის ბაზარი აღვსილია სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოშვებულ სახელმძღვანელოებით. საჭიროა ვიფიქროთ სოფელზე. იქ დიდი მოთხოვნილებაა სურათებიანი ლიტერატურაზე, სახელმწიფო გამომცემლობა ამზადებს ახალ საბჭოთა სურათებიან ლიტერატურას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსკოვში ირიცხება სახ. კომისარიატების 68 გამოცემა, 20 პროფკავშირების, 8 კოოპერატიული და 140 კერძო. სააგიტაციო ლიტერატურას სცემს: „კრასნაია ნოვი“ და „მოსკოვსკი რაბოჩის“ გამომცემლობა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი.

სასურსათო გადასახადის კამპანია. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა რა სასურსათო სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ბუკრეევის მოხსენება 1923 წლის სასურსათო გადასახადის კამპანიის შესახებ, დაადგინა: სასურსათო გადასახადის აკრეფა მოხდეს დათესილ მინდვრების და საქონლის რიცხვის მიხედვით; ნატურალური გადასახადი აიკრიფოს მხოლოდ სათეს მინდვრებზე. სათიბეებზე, ბაღებზე და პირუტყვზე გადასახადი აიკრიფოს ფულით. სასურსათო გადასახადი გადაეხდებათ მხოლოდ დამუშავებულ მინდვრებზე. გადასახადისაგან განთავისუფლებულია ბამბის და თუთის პლანტაცია. სასურსათო გადასახადი ვრცელდება 510,000 დესეტინაზე.

მემამულეების მიწები გლეხებს!

(წერილი გორიდან).

საბჭოთა მთავრობის მიერ აღებულ მტკიცე გეზმა მიწის რეფორმის სფეროში სულ მთლად გამოაღვიძა და იმედებით აღავსო ღარიბ-ღატაკი გლეხობა. ისინი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ აქტს და დაიწყეს გამალებული მუშაობა.

ჩვენდამი მოსულ ცნობებით მარტო სოფელ **რუისში** ჩამორთმეულია კულაკობისაგან და სხვა და სხვა მუქთა ხორებისაგან 753 დღის მიწა.

სოფელ **ტყვიავში** 225 დღის მიწა. აგრეთვე დანარჩენ ყველა რაიონებში, საიდანაც დაწვრილებითი ცნობები ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვაქვს, ხდება მიწების აღრიცხვა და აღწერა.

კონფისკაცია სწვდება აგრეთვე მსხვილ მემამულეთა და ბრწყინვალე თავადების სახლებსაც... ენგრევათ ციხე-სიმაგრე ფეოდალებს... ლაფავენ წოდებრივ სულს. გლეხები კი გაიძახიან: „აი ახლა მოვიდნენ ბალშევიკები“-ო. მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს, ხედავენ, რომ საბჭოთა მთავრობა მათთან არის და იქნება, რომ ის მუდამ დაიცავს ღარიბ-ღატაკთა ინტერესებს. თავიანთი მხრით გლეხებიც აღუთქვამენ მთავრობას კნელ სისხლის წვეთამდე ნამდვილი, თავისი მთავრობა ვითარ ბურჟუაზიულ შოვინ მთავრობაში არ გასცვლიან რაც შეეხება მექარხნე ზუზემან ნებას და მამულს, აღელვე გლეხობამ მოითხოვა, რომ მა ონში ნაშთიც კი აღმოფხვრილ ზუზემანებისა და მათი ჰაჟანება იყოს გორის მაზრაში.

აღმასკომმა დაადგინა: ჩამო მთელი ქონება და გაძევებულ იგი თავისი „საბატონო“-ს ფუ ბიდან.

სოფელ ერვნეთში მცხოვრ მაჩაბლის ქვრივი კულტურულ ლის სახით შენარჩუნებას ლ 15 დესეტინა მამულის. იმავე მას აქვს წისქვილები, აგრეთვ ლები თბილისში და ცხინვალ მულში კი სთესდა „სემიჩკას“ მინდს. მუშურ-გლეხური ხელის ბის მეხი მასაც დაეცა თავს მოერთვა მამული.

ვასილ ქურდ

1 თებ. 1923 წ.

არსდება დაბეგვრის 9 ხარისხი: ყველაზე უმდაბლესი ხარისხი ნახევარი ფუთი; მხოლოდ, ყველაზე უფრო უმაღლესი ხარისხი 7 ფუთი დესეტინიდან.

ნადირების დაცვა. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილების თანახმად, აკრძალულია ნადირობა წყალში მცურავ ფრინველებზე კასპიის ზღვის ნაპირიდან სამი ვერსის დაშორებით, გევსკის კონცხიდან წითელი ტბის კონცხამდე.

სახალხო განათლების კომისარიატების გაერთიანება. ადერბეიჯანის განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ სცნო რა აუცილებელ საჭიროებად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება და მოქმედების სრული კოორდინაცია სახალხო განათლების სფეროში, და აგრეთვე, სახალხო განათლების კომისარიატების შორის მიზანშეწონილი განაწილება იმ რესურსებისა, რომლებსაც იძლევა სახალხო კომისართა საბჭო, სცნო აუცილებელ საჭიროებად მოეწყოს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო კომისართა შემადგენლობის ორგანო ან- და მუდმივი სათათბირო, რო შეიკრიბება თითოეულ ორ არა ნაკლებ ერთისა. ამ საქმის როდ მოსაგვარებლად აღძრული ამდგომლობა ადერბეიჯანის სა განათლების კომისარიატის გიასთან, რათა აიღოს თავის ინიციატივა პირველი თათბირი წვევის და მთელ რიგ მომწი საკითხების გადაჭრის შესახებ ა კავკასიის მასშტაბით.

პროფკავშირების ყრილობ. ა ბეიჯანის პროფკავშირების ყრილ აუცილებელ საჭიროთ ჩასთვ ტურულ-განმანათლებელ მუშ გაძლიერება საზოგადოთ და, კე მუშა-თათრების შორის და აგ საბჭოთა მეურნეობის ორგანიზ უფრო აქტიური მონაწილეობ ლება.

სავაჭრო-სამრეწველო მი ბაქოს საბჭოს საქმეთა მმართვ ბამ შეიმუშავა პროექტი სავ სამრეწველო მილიციის ორგანი ისა, რომლის დანიშნულება ი სამაზრო და სხვა სავაჭრო ა ბის მეთვალყურეობა და, საე ყველა იმ სფეროების მეთვალყუ ბა, რომლებიც დაკავშირებული ან სავაჭრო-სამრეწველო ცხოვ თან.

პროექტი ბაქოს საბჭოშია გენილი დასამტკიცებლათ.

შრომის კანონების ახალი კოდექსი

(ამხ. გახუტოვის საინსტრუქციო ხასიათის მოხსენება).

(დასასრული იხ. გაზ. „კომუნისტი“-ს № 29.)

კოლექტიური ხელშეკრულება აუცილებლად უნდა იქნას გატარებული შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების რეგისტრაციაში. ამასთანავე კოდექსი სთვლის რეგისტრაციას როგორც შემოწმებას, თუ რამდენად სისწორით სრულდება შრომის უფლებრივი ნორმები. ამ ნორმების დარღვევის შემთხვევებში ისინი უქმდებიან, მაგრამ ეს არ უნდა აფერხებდეს სისწორით შედგენილ ნაწილების რეგისტრაციას.

შრომის ხელშეკრულება უნდა დაიდოს არა უმეტეს ერთი წლის ვადისა, ან ვადის განუსაზღვრელად, ან რაიმე სამუშაოს შესრულების დრომდე და იგი შეიცავს დაქირავების ძირითად პირობებს. შრომის ხელშეკრულების მიხედვით დამქირავებელს არ აქვს უფლება მოსთხ დაქირავებულს ისეთი მუშაობა, მელსაც უკანასკნელი არ ე მაგრამ არის გამონაკლისი მოსალ ნელ საშიშროების დროს.

შრომის ხელშეკრულებათა მების პირობები.

განუსაზღვრელი ვადით დად ხელშეკრულება შეიძლება გაუქ იქნეს დამქირავებელთა მიერ წარი გაფრთხილების შემდეგ. რავებელს შეუძლია გააუქმოს შეკრულება წარმოების სრულიად ნაწილობრივ ლიკვიდაციის შ ვაში. მუშაობის ერთი თვით შ ტის გამო (ნედლი მასალის უქონ ბის გამო და სხვა). ამ შემთხვევ დაქირავებელთ ეძლევათ სალიკ ციო დახმარება, ხოლო იმ შ

შრომის დაწესებულებები გერმანიაში

I. შრომის სამინისტრო.

წარსული წლის ბოლოს მე დაახლოვებით ორი თვე გავატარე გერმანიაში, სადაც მე გაგზავნილი ვიყავი მოსკოვის გუბერნიის პროფკავშირთა საბჭოს, შრომის სახალხო კომისარიატის და სოციალური დაზღვევის მოსკოვის სამმართველოს მიერ, ჩემი სპეციალობის საკითხების შესახებ წიგნთსაცავებში, სამეცნიერო დაწესებულებებში და სხვ. მასალების შეგროვებისათვის მეცადინეობის გარდა, მე დავალებული მქონდა შესწავლა იმ უმთავრეს დაწესებულებების კონსტრუქციებისა და მუშაობისა, რომლებიც აწესრიგებენ შრომის საქმეს გერმანიაში. ამისათვის საჭირო იყო განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სათანადო ორგანოების შინაგანი აგებულების და მათი ყოველ დღიური საქმიანობისათვის, საჭირო იყო ჩვენთვის საინტერესო დაწესებულებების, თვით მუშურ აპარატის გაცნობა.

ამ მიღლინების განმავლობაში მე ვინახულე მრავალი ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებები. დავასახელოთ მთავარი მათგანი: შრომის სამინისტრო, შრომის მთავარი სამმართველო, სოციალისტური დაზღვევის მთავარი სამმართველო, ადგილობრივი საერთო-საქალაქო სავადმყოფო კასები ბერლინში, მიუნხენში, ლეიპციგში და დრეზდენში, შრომის ადგილობრივი სამმართველოები (შრომის განყოფილებები), შრომის მსხვილი ბირჟები, ბერლინის საკონფლიქტო კომიტეტი, სრულიად-გერმანიის პროფორგანიზაციების კავშირი (Allgew Deutscher Gewerkschafspund), პროფკავშირების ბერლინის ცენტრი, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ბერლინის სეკრეტარიატი; საუბნო საფაბრიკო ინსპექტორის კამერა და ადგილობრივი ორგანოები სტატისტიკის საზოგადოდ და კერძოთ შრომის. ამას გარდა მომიხდა გაცნობა შრომის სანიტარული დაცვის პროფესიონალ. ჰიგიენის და სხ. დასხ. გვარ დაწესებულებების ორგანიზაციების. ჩვენ განზრახული გვაქვს შემოკლებული ანგარიშების სახით გავაკეთოდ ნახულის და შესწავლულის საზოგადო მიმოხილვა.

⁂

ჩვენ უმეტეს შემთხვევაში ვიმყოფებოდით ბერლინში, საიდანაც დრო გამოშვებით ვმოგზაურობდით სხვა ჩვენთვის საინტერესო ქალაქებში.

შემთხვევით გარემოების გამო შესწავლის დაწყება მოგვიხდა არა ცენტრალურ, არამედ ადგილობრივ დაწესებულებებიდან.

აღმოჩნდა, რომ მთავარ სახელმწიფოს ცენტრების დასავლელათ საჭირო იყო ოფიციალური დოკუმენტები არა მარტო რუსეთის წარმომადგენლობისაგან გერმანიაში, არამედ აგრეთვე სარეკომენდაციო სიგელები გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან. დაიწყო „დიპლომატიური მიწერ-მოწერა“, რამაც პირველად ბევრი დრო წაგვართვა. რომ არ დაგვეკარგა ეს ძვირფასი დრო, დავიწყეთ ვიზიტებით ადგილობრივ ორგანოებში, სადაც ხვდებოდენ უცხოელს დიდი პატივისცემით, გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ნოტების გარეშე, კერძო რეკომენდაციით, ან ყოველგვარ ფორმალობის გარეშე. ყველა ჩვენს მიერ ნახულ დაწესებულებებში ჩვენ ვპოვეთ ჩვენი საკითხებისადმი ძლიერი ყურადღება და შეგვეძლო გვენახა, მცირე გამონაკლისით, ყველაფერი რაც ჩვენ გვაინტერესებდა.

გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან საჭირო დოკუმენტების მიღების შემდეგ ჩვენ შეუდექით, შრომის სამინისტროს წყობილების გაცნობას.

გერმანიის რესპუბლიკის (Reichsarbeitniministerium) შრომის სამინისტროს წინაშე მრავალი ამოცანები სდგას. შრომის საკითხის მოწესრიგების გარდა, სამინისტრო განაგებს აგრეთვე სოციალურ დაზღვევას, სოციალურ უზრუნველყოფას, სამხედრო-სახიზრების დგომარეობის მოგვარებას, საბინაო საქმეს და სოციალური მედიცინის ზოგიერთს დარგებს. ამ რიგად გერმანიის შრომის სამინისტროს მუშაობის პროგრამა ძლიერ ფართოა. სამინისტრო შესდგება 10 ძირითად განყოფილებისაგან მრავალ წვრილმან ქვე-განყოფილებებით და რამოდენიმე მისდამი დაქვემდებარებულ უწყებე ისაგან, რომლებიც რამოდენიმეჟ ავტონომიური არიან თავიანთ საქმიან მუშაობაში.

შრომის სამინისტროს ძირითადი განყოფილებები (ნომრების რიგის მიხედვით) ამგვარია: 1) საერთო—ადმინისტრატიული; 2) სოციალური დაზღვევის განყოფილება; 3) საერთო სოციალური პოლიტიკის, ეკონომიკის, შრომის დაცვის და შრომის სამართლის კოდიფიკაციის განყოფილება; 4) სატარიფო საკონფლიქტო, სამუშაო ხელფასის დამწესებელი განყოფილება; 5) საბინაო განყოფილება; 6) სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა განყოფილება; 7) სოციალური უზრუნველყოფის საკანონმდებლო განყოფილება; 8) ომის მსხვერპლთათვის ზრუნვის განყოფილება; 9) სოციალური მედიცინის განყოფილება; 10) შრომის ბაზრის და უმუშევრობის მომწესრიგებელი განყოფილება.

ზოგიერთ დარგებისათვის თვით სამინისტროს სათანადო განყოფილებაში სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობის შემუშავება და საერთო-სამმართველოს მუშაობა, მაშინ როცა პრაქტიული ადმინისტრატიული (ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო) მუშაობა სრულდება სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ცალკე მთავარ სამმართველოს საშუალებით. ამრიგად შრომის ბაზრის და უმუშევრობის მოწესრიგება შეტანილია სპეციალურ უწყებაში—შრომის მთავარ სამმართველოში, რომელიც წარმოადგენს ავტონომიურ ორგანოს, რომელსაც ხელმძღვანელობს საგანგებო საბჭო, შემდგარი პარიტეტური პრინციპით მუშების, დამქირავებლების და ადგილობრივი თვითმართველობის ქალაქის სათათბიროს და სხვ.) წარმომადგენლებისაგან. შრომის სამინისტროს ეკუთვნის მხოლოდ საერთო ზედამხედველობა ამ მთავარ სამმართველოს მუშაობაზე. ასევე სოციალური დაზღვევის საქმის გამგეობა არსებითად ეკუთვნის ძველს „სახელმწიფო დამზღვევ უწყებას“ რომელიც სოციალურ დამზღვევ დაწესებულებების სისტემაში ატარებს ავტონომიურ უმაღლეს—ადმინისტრატიულ და სასამართლო ინსტანციის ხასიათს.

დანიშნულ პრეზიდენტის გარდა დამზღვევ უწყებას მოეპოება საარჩევნო ხელმძღვანელი ორგანო და იყოფა რამოდენიმე „სენატებათ“ (უმაღლესი სასამართლო ორგანოები).

ორთავე ამ მთავარ სამართველოებიდან თვითეული მოთავსებულია თავის საკუთარ „სასახლეში“ და ჰყავთ რა მათ სათავეში საკუთარი პრეზიდენტები, აწარმოებენ დამოუკიდებელ მუშაობას და ღებულობენ შრომის სამინისტროსაგან მხოლოდ უმაღლეს ხელმძღვანელობას.

ეხლახან ჩამოთვლილ ორ მთავარ სამმართველოს გარდა, სამინისტროს ექვემდებარებიან მრავალი სხვა ცენტრალური დაწესებულებები და ორგანოები, რომლებიც დაარსებული არიან სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა გარემოების მიხედვით და განაგრძობენ არსებობას შრომის სამინისტროს ხელმძღვანელობით (სახელმწიფო წარმოებებში უბედურ შემთხვევების დაზღვევის მთავარი სამმართველო, სოციალური მზრუნველობის საქმეთა უმაღლესი სასამართლო, მუშების დაზღვევის საქმეთა მთავარი სამმართველო და სხვ.) ამას გარდა, როგორც დამოუკიდებელი ნაწილები, უნდა აღვნიშნოთ: 1) საკონფლიქტო (მომრიგებელი) ორგანო, რომელიც არჩევს სახელმწიფო წარმოებებში და დაწესებულებებში მომხდარ კონფლიქტებს; 2) შრომის სამართალის შემუშავების, შეთანხმების და კოდიფიკაციის კომისია, რომელსაც მოეპოება მთელი რიგი სპეციალურ ქვე-კომისიებისა და სხვ...

და ბოლოს, მიწერილია სამინისტროზე და ექვემდებარება შრომის დაცვის ქვე-განყოფილებას ჩვენი სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილი მუდმივი გამოფენა (მუზეუმი) შრომის დაცვის და მუშათა კეთილდღეობის საკითხები.

არ შეიძლება ითქვას, რომ საერთო კონსტრუქცია და განყოფილებათა ორგანიზაციის გეგმა, უცხოელის პირველ შეხედვაზე, იძლეოდეს მტკიცე წყობილების შთაბეჭდილებას. ბევრი ჩვენში გაკვირვებას იწვევს. მაგალითად, არ არის გასაგები, თუ ისეთი საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი დარგი, როგორიც არის შრომის დაცვა, რატომ არ შეადგენს დამოუკიდებელ ნაწილს და ითვლება დაქვემდებარებულ ქვე-განყოფილებათ: მეორეს მხრივ, რა საჭიროა სოციალური უზრუნველყოფის დარგში ორი დამოუკიდებელი განყოფილება (ადმინისტრატიული და საკანონმდებლო ნაწილი). აქ ბევრია დამოკიდებული როგორც სპეციალურ პირობებზე, ისე, შეიძლება პერსონალური ხასიათის მოსაზრებებზე, როგორიც არის განსაზღვრულ სპეციალისტების რაოდენობა და სხვ. სამინისტროს მთავარი განყოფილებები იყოფებიან ქვე-განყოფილებებად, ხოლო უკანასკნელები მრავალ დეტალურ დარგებად, რომლებიც ჩაბარებული აქვთ სპეციალურ თანამშრომლებს. წესის სახით თვითეულ დეტალურ დარგს განაგებს სპეციალური „მრჩეველი“—(Regerungsra).

სამინისტროში თქვენ შეხვდებით დაახლოვებით 150 ასეთ „მრჩეველს“ თუ არ მივათვლით დაქვემდებარებულ სამმართველოებს და უწყებებს.

დეტალურ დარგების ხელმძღვანელთა უმრავლესობას შეადგენენ პირები უმაღლესი განათლებით (სამართლის დოქტორები და სხვ.), კარგი სტაჟით, საქმის ცოდნით, მაგრამ სახელმწიფო დაწესებულებების ტიპიური ჩინოვნიკები.

ამით ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ისინი ახდენდენ „კაზიონშჩინის“ ან მედიდურობის შთაბეჭდილებას უბრალო „მომაკვდავებზე“.

არა და საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ რევოლიუციის შემდეგ ჩინოვნიკური წრეების ზნე-ჩვეულება საგრძნობლად გამარტივდა და თვით ეს წრეებიც „მისაწვდომი“ შეიქნენ (გერმანიის მასშტაბით, რასაკვირველია). მაგრამ ბიუროკრატიზმის რადიკალური განდევნა და შიგ ახალი შუქის შეტანა სრულებით არ ემჩნევა.

ჩინოვნიკების ამ არმიის სოციალური შემადგენლობის შესახებ ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია სწორი ცნობების მოცემა. პრესაში სწარმოებდა პოლემიკა იმის გამო, რომ სამინისტროს მოსამსახურეთა შორის თითქოს ძლიერ ბევრი იყოს ძველი არმიის ყოფილი ოფიცრები, რაც უარყოფილ იქნა სამინისტროს საპროტესტო წერილით.

რაც შეეხება სამინისტროს მეთაურს 1921 წლიდან რამოდენიმე სოციალ-დემოკრატ-მინისტრების გამოცვლის შემდეგ, შრომის მინისტრის პორტფელი მიიღო ექ. ბრაუნემ, ცენტრის წარმომადგენელმა, (რეიხსტაგის დეპუტატმა), რომელიც შრომის მინისტრად იყო ვირტის კოალიციონურ კაბინეტში და რომელმაც შემდეგშიც შეინარჩუნა თავისი მდგომარეობა კუნოს მიერ ახლად შედგენილ წმინდა-ბურჟუაზიულ კაბინეტში.

შრომის სამინისტროს მთავარი რეზიდენცია მოთავსებულია ყოფილ სპეციალურ აკადემიის მონუმენტალურ შენობაში, ბერლინის ჩრდილოეთ ნაწილში. აქ ამ თვალუწვდენელ დერეფნებში ჩამწკრივებულია ცალკე კომფორტაბელური კაბინეტები, რომლებშიაც მიმდინარეობს ჩინოვნიკების მშვიდი მუშაობა.

ჩვენს მკითხველებს უსათუოდ აინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია პროფკავშირების როლი, როგორია მათი გავლენა შრომის სამინისტროს მუშაობის საერთო ხაზზე. გერმანიაში თანამედროვე პარლამენტურ რეჟიმის პირობებში შეუძლებელია პროფკავშირების მიერ უშუალო გავლენის მოხდენა სამინისტროს მუშაობაზე. მინისტრი პასუხისმგებელია როგორც კაბინეტის წევრი, მხოლოდ რეიხსტაგის წინაშე.

მუშების და წარმოებითი ორგანიზაციების წარმომადგენელთა როლი სათათბიროა და ამავე დროს შემთხვევიდან შემთხვევამდე. მნიშვნელოვან საკანონმდებლო ღონისძიებათა გამომუშავების დროს ეწყობა თათბირები, რომლებზედაც მუშები და მწარმოებლები იცავენ თავ-თავიანთ თვალსაზრისს და სხვ. ჩვენ მოგვიხდა, საუბარი ამის შესახებ სრულიად-გერმანიის თავისუფალ პროფკავშირების გაერთიანების ერთ-ერთ ხელმძღვანელთან (პრეზიდიუმის წევრთან), რომელიც აღნიშნავდა, რომ კავშირებს აქვთ ფაქტიური შესაძლებლობა მოახდინონ განსაზღვრული გავლენა სამინისტროს მუშაობაზე.

მაგრამ, ცხადია, არსებულ ძალთა განწყობილების დროს, ძირითად მნიშვნელობის მქონე საკითხებში სამინისტროზე მუშათა ორგანიზაციების რეალურ გავლენის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია.

⁂

გერმანიის კანონმდებლობა შრომის შესახებ ამ ჟამად წარმოადგენს სხვა და სხვა დროის მრავალ საკანონმდებლო აქტების გროვას. ძველ საფაბრიკო კანონმდებლობის საფუძვლები რემდეგი დანართებით მოთავსებულია მრეწველობის დებულებაში ანუ წესდებაში კანონმდებლობის ახალი ხაზი იხსნება ცნობილი დეკემბრის (1918 წ.) დეკლარაციებით და სახალხო რწმუნებულთა საბჭოს დადგენილებით, რვა საათის სამუშაო დღის, კოლექტიურ ხელშეკრულებების, კონფლიქტების მოგვარების და სხვ. შესახებ. სოციალური დაზღვევა შეადგენს სოციალური კანონმდებლობის დამოუკიდებელ შტოს.

1911 წ. დაზღვევის კოდექსი რევოლიუციონურ პერიოდში არ შეცვლილა ძირითადად, მაგრამ შევსებულია მრავალრცხოვან ნოველებით, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს აქვს პრინციპიალური მნიშვნელობა. შრომის დაცვის კანონმდებლობის სფეროში ამ უკანასკნელ დროს გამოცემულია, უმ რესად, სავალდებულო სანიტარ დადგენილებები წარმოებათა ც დარგებისათვის.

შრომის ბაზრის კანონმდებლო მოწესრიგების საქმე საბოლოოდ მტკიცებულია მხოლოდ 1922 სპეციალური კანონის გამო (1922 წ. 22 ივლისს), რომელიც ლაში შევიდა წარსული წლის 1 ტომბრიდან და რომელშიაც ლურად გათვალისწინებულია ლობრივ შრომის ბირჟების წყობა, წრე და მათი მუშაობის პრ პები და სხვ. რაც შეეხება უმ რებისადმი დახმარებას, ჯერ-ჯ ბით შემოღებულია სისტემა უმ რების იმ კასებით უზრუნველყ რომლებსაც დახმარებას აძლევ ხელმწიფო და თემები; რეიხს შეტანილია კანონპროექტი უმ რობისაგან დაზღვევის შესახებ. ფლიქტების მოწესრიგება ხდება წილობრივ ძველი, ცოტათი გა თებული კანონით სამრეწველო მართლოებზე, ნაწილობრივ კი წლის ახალი კანონებით. ამ რეიხსტაგს გედაცემული აქვს პრ ტი „მომრიგებელ ორგანოების“ განგებო დებულების შესახებ; გარდა მზადდება დებულების პრ ტი შრომის სასამართლოების ხებ.

უზომოდ გამრავლებული საკა მდებლო მასალები მუშათა უფ სფეროში მოითხოვს კოდიფიკა საკოდიფიკაციო მუშაობას ამ აწარმოებს ზემოდ დასახელებუ განგებო კომისია.

შრომის კანონმდებლობის ც მხარეების განვითარების და მდ რეობის შესახებ ჩვენ შემთხვევა ნება უფრო დეტალურად ვილა კოთ შემდეგ მიმოხილვაში.

ფ. მარკუზონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშურ-გლეხურ ინსპექციის მასალებიდან

ინსპექცია თავის პოსტზე

არა ერთხელ გვქონია აღნიშნული, რომ ჩვენ დაწესებულებებში, განსაკუთრებით ეკონომიურ ორგანოებში და მათ ადგილობრივ განყოფილებებში ყოველივე რიგზე არ არის. ეკონომიური ორგანოებია სწორეთ ის დაწესებულებანი, სადაც შეჩრილი არიან სხვა და სხვა „საქმის“ ხალხი, რომელთაც დღეს უხდებათ მუშაობა მათთვის სოციალურად უცხო, სოციალურათ მოწინააღმდეგე კლასისა და სახელმწიფოს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში.. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ყველა ისინი ერთი სახისა და მიდრეკილების არიან, მაგრამ ფაქტია, რომ მათ შორის მოიძებნებიან სწორეთ ისეთები, რომლებიც დროისთვის შეუფერებელ გასაქანს აძლევენ თავიანთ მადას და „რჯულზე უმტკიცეს ჩვეულებაზე“ ხელს ვერ იღებენ. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ხანებში ასეთი მაგალითების დემონსტრაციას. არსებითად ამგვარივე რიგის მასალებს გვაწვდის ჩვენ ჩვენი სახელმწიფოებრივი კონტროლი, მ.—გლ. ინსპექცია, რომელიც მოწოდებულია თვალყური ადევნოს დაწესებულებათა მუშაობას და კრიჭაში ჩაუდგეს ბოროტ-გამძრახველთ და მომქმედთ. მკითხველები და ისინი, ვის ნაბიჯებსაც მტრული თვალით დასდევს ეს ინსპექცია, ერთი სიტყვით ყველა, როგორც მეგობრები ისე მტრები საბჭოთა ხელისუფლების დარწმუნდებიან, რომ არასფერი დაემალება ფხიზელ ყურადღებას ამ კონტროლისას. საჭიროა ეს იცოდეს ყველამ, ამას არ დაივიწყებენ, ჩვენ ვფიქრობთ, მით უმეტეს ისინი, ვისაც ყველა საბუთი აქვთ განსაკუთრებული მოკრძალებით იცქირონ ჩვენი ინსპექციისკენ.

⁂

წარსული 1922 წლის სექტემბერში მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა გამოჰყო თავის შემადგენლობიდან საგანგებო სარევიზიო ჯგუფი და მიანდო მას ზოგი ღირსშესანიშნავი პროვინციალური დაწესებულებების გაცნობა და რევიზია. ამ ჯგუფმა დაიწყო თავისი მუშაობა სექტემბრის შუა რიცხვებში ქ. ბათომიდან, სადაც მოხდენილ იქმნა რევიზია შემდეგი დაწესებულებებისა:

1. ბათომის კომუნალური მეურნეობა

ამ დაწესებულებაში მოხდენილია რევიზია საფინანსო, მომარაგების, სანიტარულ, სატეხნიკო და კომუნალურ მამულების ქვეგანყოფილებისა, სადაც მრავალ შემჩნეულ დეფექტების გარდა, აღმოჩენილია ბოროტმოქმედება, რომელიც გამოიხატება სიყალბის ჩადენაში და სახელმწიფო ფულის გაფლანგვაში, რომლის რაოდენობაც უდრის 205,277,490 მან. დამნაშავენი ამ საქმის შესახებ თანამდებობის პირნი დაპატიმრებულნი და პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

რევიზიის წარმოების დროს შემჩნეულ იქნა აგრეთვე, რომ არსებული სარშინო გადასახადი სავაჭრო-სამრეწველო შენობებზე ვერ იყო გამოანგარიშებული სისწორით, რისთვისაც რევიზიამ საჭიროთ იცნო ამ შენობების ხელახალი გადაზომვა და ანკეტების ფურცლების გადასინჯვა. ამას შედეგად მოყვა კომუნალურ მეურნეობის შემოსავლის გადიდება 8,813 მან. ოქროთი ყოველთვიურად და 1,297 მან. 47 კაპ. ერთდროულად.

2. ბათომის სამხედრო-საინჟინერო დისტანცია

ამ დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული რევიზიის მწარმოებლის მიერ შეშის დამზადების ოპერაციაზე, რომლის საკითხის გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა იყო გამართული. მოხდენილ რევიზიით გამოირკვა, რომ ეს საქმე ძლიერ ცუდ ნიადაგზე იყო დაყენებული და დიდ ზარალს აძლევდა სახელმწიფოს. დისტანციის მიერ მიცემულია ამხანაგობა „სათბობზე“, რომელთანაც მას დადებული ჰქონდა ხელშეკრულება შეშის დამზადების შესახებ, ზედმეტათ 936 ფუთი ნავთი. მიუხედავათ იმისა, რომ ეს ხელშეკრულება საქართველოს სამხედრო-საინჟენერო დისტანციის მიერ საზარალოთ იყო ცნობილი და შემდეგში დარღვეული, ბათომის საინჟენერო დისტანციამ არ მიიღო მხედველობაში ამხანაგობა „სათბობის“ დავალიანება და არ მოსთხოვა მას მის მიერ ავანსათ წაღებული ნავთის ან მისი ღირებულების უკანვე დაბრუნება.

ამას გარდა დისტანციის მიერ გაცემული აღმოჩნდა ზედმეტად 1) მოქ. ჰუონიას ქარხანაზე ხეების დასახერხათ 77.886.000 მან. 2) ამხ. „სათბობზე“ ზედმეტადვე 10 ლიტერი 62 ვაგონზე 101.060.000 მანეთად ღირებული.

ამ გვარად, მარტო ამ ხელშეკრულებით „სათბობთან“ დისტანციამ მიაყენა რესპუბლიკას ზარალი 500 მილიონზე მეტი.

ამ ხელშეკრულების გადათვალიერების შემდეგ დაინიშნა დისტანციის სამნეო ნაწილის და საწყობების რევიზია, რომელმაც აღმოაჩინა მრავალ დეფექტების გარდა დიდძალი ქონების დანაკლისი და საქმე გადაეცა ბათომის რევტრიბუნალს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემათ. მოხსენებული ზარალი ინსპექციის წინადადებით ანაზღაურებული იქნა.

3) სახალხო ბანკის განყოფილება ბათომში.

რევიზიის დროს აღმოჩნდა შემდეგი ფეფექტები: 1) საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნების ნაშთებში ნაჩვენები იყო სხვათა შორის რვა ცალი ხუთი ათას მანეთიანი, რუსეთის საბჭოთა სახელმწიფოს ვალდებულება გამოცემული 1922 წელსა თავის ნომინალურ ფასში 40.000 მან. მაშინ, როდესაც საჭირო იყო ეს ნიშნები გადაფასებულიყო 1921 წელს გამოცემულ ფულის ნიშნების ფასად, ე. ი. 400.000.000 მან. განსხვავება 99.960.000 მან რევიზიის დროს გასწორებულია ხსენებული ვალდებულებების გადაფასებით; 2) გარდამავალი საფასეთა ნაშთში ნაჩვენებია 2.402.505.077 მან., რომელსაც დააკლდა 100 მანეთის საფასი (100 თათრ. ქაღ. ლირა). როგორც გამოირკვა შემდეგში აღნიშნული ლირები დაბრუნებული ყოფილა პატრონზედ და სათანადო ორდერი გამოიწერა რევიზიის დროს მიმღების ჰიდაჩიანის ხელმოწერით. — 3) სხვა მხრით ბანკის განყოფილებაში საქმე შედარებით სასურველად აღმოჩნდა დაყენებული.

4) თამბაქოს ტრესტის ბათომის განყოფილება.

ტრესტის განყოფილების რევიზიამ, რომელსაც უნდა გამოერკვია თუ რამდენათ სასარგებლო იყო საქართველოს თამბაქოს ტრესტის და მოქ. ვარტაპეტოვის შორის დადებული რვა ხელშეკრულება 1300 ფუთი ფურცლიანი თამბაქოს გადაცვლის შესახებ 1158 ფუთ ბაბინზე (ქაღალდი პაპიროსის გილზებისათვის) გამოარკვია შემდეგი:

1. 18 აგვისტოს 1922 წ. თამბაქოს ტრესტი, სიტყვიერი მოლაპარაკების შემდეგ მოქ. ვარტაპეტოვთან, დათანხმდა მიეღო ხსენებული მოქალაქისაგან 1158 ფუთი ბაბინი ქ. ბათომში, რომლის ნაცვლად ვარტაპეტოვი ღებულობდა, როგორც ექვივალენტს, 1400 ფუთ ფურცლიან თამბაქოს შემდეგი ხარისხისას: 1—7 პროც.. 2—30 პროც., 3—45 პროც., 4—18 პროც.

2. ამ ხელშეკრულების რეალიზაცია მინდობილი ჰქონდა თამბაქოს ტრესტის გამგეობის მიერ ბათომის განყოფილების მმართველის თანაშემწეს მოქ. მენშოის, რომელიც შეუდგა მის განხორციელებას იმავე წლის 4 სექტემბერს.

3. იმავე რიცხვში „პიშჩევკუსის“ კავშირის გამგეობამ იქონია მსჯელობა ამ ხელშეკრულების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ თამბაქოს ბაბინზე გადაცვლა გაჩერებას უქადის ქარხნებს და ხსენებული ხელშეკრულება ფრიად საზარალოა თამბაქოს ტრესტისათვის, მოსთხოვა ინსპექციის საქმის გამორკვევა და ხელშეკრულების შეჩერება. უკანასკნელმა, თანახმად ზემოაღნიშნულისა, შეაჩერა ეს ხელშეკრულება და გამოძიებით დაამტკიცა შემდეგი:

1. ბათომის განყოფილების მმართველი თავის მოხსენებაში 27 აგვისტოს თარიღით ატყობინებდა თამბაქოს ტრესტს, რომ განყოფილებას არ შეუძლია მისცეს ვარტაპეტოვს უმაღლესი ხარისხის თამბაქო, წინააღმდეგ შემთხვევაში ბათომის ქარხანას მოელის მუშაობის შეჩერებაო. მიუხედავათ ამის, ტრესტის გამგეობამ მაინც მისცა განკარგულება მენშოის, 4 სექტემბერს მოეხდინა ამ ხელშეკრულების რეალიზაცია.

2. „პიშჩევკუსის“ კავშირის დადგენილების ოქმიდან სჩანს, რომ ხელშეკრულების რეალიზაციის დროს, „ბაბინის“ ფასი ედარებოდა ფურცლიან თამბაქოს ფასს ისე, როგორც 11 ედარება 16 და 1300 ფუთის თამბაქოს მიცემა 1158 ფუთ ბაბინში ნიშნავდა დაახლოებით 18 თათრული ქაღალდის ლირის გადახდას ფუთ „ბაბინში“. სტატისტიკურ ბიუროს ცნობის თანახმად ბაბინი კი ღირდა იმ დროს ბაზარზე 6 ნახ.—8 ლირამდე, მაშინ როდესაც, იმავე დროს, ფუთი ფურცლიანი თამბაქო ფასობდა 17—13 ლირამდე.

ამნაირად უდავოთ დამტკიცდა ის გარემოება, რომ ვარტაპეტოვთან დადებული ხელშეკრულება ფრიად საზარალო იყო ტრესტისათვის და რომ მისი რეალიზაცია მომხდარიყო ტრესტი კარგავდა ერთ ფუთ ბაბინზე 9 3|4 ლირას—სულ კი 1158 ბაბინზე 11,200 მეტ ლირას, რაც შეადგენდა მაშინდელი ფულის კურსის მიხედვით ლირა 160,000 მან. (1,792.000 მან.) მუშათა და გლეხთა ინსპექციის საქმეში ჩარევამ და „პიშჩევკუსის“ კავშირის სიფხიზლემ ააშორა სახელმწიფოს ხსენებული ზარალი.

ამასთან ერთად სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელობით გატარდა თამბაქოს ტრესტის ბათომის განყოფილების სრული რევიზია.

5) აჭარისტანის სამეურნეო საბჭოს მთავარი ბუხჰალტერიის რევიზია.

რევიზიამ აღნიშნა შემდეგი ფრიად მნიშვნელოვანი დეფექტები:

1) სხვადასხვა პირებთან საბჭოს მიერ დადებულ ხელშეკრულებებში ნაჩვენებ ვალდებულების ასრულებაზე მთავარ ბუხჰალტერიას არ ქონია ჯეროვანი ყურადღება მიქცეული.

2) საღერბო გადასახადი არ შედიოდა ხაზინაში.

3) გაცემული ავანსების თავის დროზე დაბრუნება ან ანგარიშების წარმოდგენა არ სწარმოებდა. (გაცემული იყო ამ წესით 41 მილიონ მანეთამდე).

4) ხელშეკრულებებზე კანონით დაწესებული გადასახადი საბჭოს უყურადღებობის მიზეზით მოიჯარადრეების მიერ გადაუხდელი დარჩენილა. საერთო გადაუხდელი თანხა უდრიდა ინსპექციის გამოანგარიშებით:

ოქროთი . . .	296 მან. 34 კაპ.
თათრულ ლირ.	907 ლირ. 2 პიასტრ.
ქართულ ბონებ.	49,903,420 მან.

წინადადება მიეცა საბჭოს გაესწორებია აღნიშნული დეფექტები და აენაზღაურებია მოხსენებული ზარალი. საბჭოს მიერ ზომები იქნა მიღებული ინსპექციის წინადადების შესასრულებლათ.

6) სამეურნეო საბჭოს ტყავეულობის სექცია.

რევიზიამ აღმოაჩინა აქ მრავალი დანაკლისი და ფრიად დიდმნიშვნელოვანი დეფექტები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი მათგანი.

სექციის განკარგულებაში იყო სხვათა შორის ორი ტყავის ქარხანა (ყ. ფირცხალავასი და ივანიანის). ახალი ეკონომიური პოლიტიკის დამყარების შემდეგ, ეს ქარხნები გაიცა იჯარით ძველ პატრონებზე. არა შეჯიბრების წესით. მოიჯარადრეებს ევალებოდათ გადაეხადათ სამეურნეო საბჭოს სასარგებლოთ დამუშავებულ ტყავეულობის 20 პროცენტი. არავითარი მეთვალყურეობა ქარხნებზე სამეურნეო საბჭოს არ უწარმოებია და კმაყოფილდებოდა იმით, რასაც მოიჯარადრეები მოისურვებდენ მიეცათ მისთვის. დაახლოებით ივლისში ძველი ხელშეკრულება მოიჯარადრეებთან სამეურნეო საბჭოს გაუუქმებია და ტყავეულობის მაგივრათ ქარხნები ფულზე გაუცია. ახალი ხელშეკრულების დადების დროს, სრულიათ არ მიუღიათ მხედველობაში ის გარემოება, რომ მოიჯარადრეებს ძველი ხელშეკრულების ძალით გადაუხდელი ქონდათ დაახლოებით მაშინდელ ფასობაზე 1600 მილიონის ტყავეულობა.

აღმოაჩინა რა ეს გარემოება, სარევიზიო ჯგუფმა წინადადება მისცა სამეურნეო საბჭოს მოეხდინა ამის შესახებ თათბირი, რომელსაც შედეგათ მოჰყვა დაახლოებით 600 მილიონი მანეთის ანაზღაურება. რევიზიის მასალები გადაეცა ადგილობრივ ინსპექციას დასამთავრებლად და საჭირო ზომების მისაღებათ.

7) სამეურნეო საბჭოს განკარგულებაში მყოფ ნავთის სადგურების რევიზია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდან სამეურნეო საბჭოს განკარგულებაში იმყოფებოდა 11 ნავთის სადგური. ამ სადგურებში მყოფ ქონების ღირებულება ძველი ფასებით ოქროს მილიონებს უდრიდა და, რასაკვირველია, რომ მას დიდი მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა. ეს ქონება სამეურნეო საბჭოს არც ნაციონალიზაციის დროს და არც შემდეგ რევიზიის დაწყებამდე აღრიცხვაზე არ აუღია და ის საშინელ მდგომარეობაში დახვდა სარევიზიო ჯგუფს. ამ უამრავ სიმდიდრეს მცველებიც კი არ ყავდა და ვინც რას მოისურვებდა, იმის წაღება შეეძლო იქიდან. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი ზარალი მოუვიდა რესპუბლიკას ამ ქონების ასეთი უპატრონობით, მაგრამ ამ ზარალის არამც თუ ანაზღაურება, გამოანგარიშებაც კი შეუძლებელია. ძვირფასი მანქანები, რომელთა შეძენა დღესდღეობით უძნელეს საქმეს წარმოადგენს, დაყრილი იყო უპატრონოთ და სარგებელს აძლევდა მხოლოდ ქურდ-ბაცაცებს. ამ სარევიზიო ჯგუფმა აღწერაზე აიღო რამოდენიმე სადგურის ქონება, შეჰქმნა კომისია ყველა სადგურების აღწერაზე ასაღებად, გადააყენა თანამდებობიდან სადგურების უფროსი, რომელიც შემდეგ დაპატიმრებული იქნა და ნაწილი მოხსენებულ ქონებისა 69.000 მან. ოქროთ ღირებული (კომისიის შეფასებით) გადაეცა ბათომის ბანკის განყოფილებას. ამასთან ერთად სარევიზიო ჯგუფმა გამოარკვია, თუ ვინ არის დამნაშავე ამ ქონების უპატრონობაში და მასალები, მოხსენებასთან ერთად, წარედგინა სახალხო კომისარს დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემათ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამეურნეო საბჭო წიგნებს აწარმოებს მხოლოდ წ. წ. პირველი ივლისიდან. ამიტომ საბჭოს მოქმედება გადატრიალების პირველი დღეებიდან მოხსენებულ ივლისამდი რევიზიის გარეშე სდგას. პირველ ივლისს მთელი ქონების აღწერა მოხდა და რაღაც მიზეზის გამო, რომელიც საფუძვლათ დაედო ბუხჰალტერიას, ნავთსადგურების ქონება არ იყო მოთავსებული.

8. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნებართვები.

(ნოხების საზღვარ-გარეთ გატანაზე).

სხვათა შორის სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელს დაევალა სახალხო კომისარიატის მიერ გაცემულ ნებართვებზე არსებული ფასების გამორკვევა და თვით ნებართვების რეალიზაციის პირდაპირი მეთვალყურეობა. ამ დავალების შედეგები წარედგინა ინსპექციას სპეციალურ მოხსენებაში, სადაც აღნიშნულია ის გარემოებაც, რომ ინსპექციის ამ საქმეში ჩარევამ მისცა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის სალაროს დაახლოებით 18.000 თათრ. ლირა და ხელი მოუწყო ამ ფრიად გართულებულ საქმის მოწესრიგებას.

აღნიშნულ რევიზიებს გარდა, სარევიზიო ჯგუფმა განიხილა საჩივრების მთელი რიგი, აღნიშნა აჭარისტანის მეთვალყურე დაწესებულებათა საერთო ნაკლულევანებანი და მიუთითა მათ გასწორების საშვალებებზე ცენტრალურ მთავრობას, მიიღო მონაწილეობა მრავალ პრინციპიალურ მნიშვნელობის მქონე საკითხების გამორკვევაში და შეძლების დაგვარად ყველა ზომები მიიღო წესრიგის და კანონიერების აღსადგენად დავალების ფარგლებში.

მუშ. და გლ. ინსპექციის საინფორმაციო ნაწილი.

ვებში, როდესაც ადგილი ექნება ვალდებულებათა შეუსრულებლობას, შინაგან მმართველობის წესების დარღვევას, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას, ან 2 თვეზე მეტს დაპატიმრებას, ან ზედიზედ 3 დღის განმავლობაში, ხოლო თვეში 6 ჯერ სამუშაოზე არ გამოცხადებას საპატიო მიზეზების გარეშე, დაქირავებულთ დახმარება აღარ მიეცემათ.

უვარგისობა და შინაგანი მმართველობის წესების დარღვევა უნდა იქნეს გამორკვეული მუშათა საკონფლიქტო კომისიის საშუალებით, ხოლო ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წევრთა მიმართ იგი უნდა იქნას დადასტურებული კავშირის მიერაც. ვადიანი ხელშეკრულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს ხელფასის თავის დროზე არ მიღების, დამქირავებელის უხეში მოპყრობის, სანიტარულ პირობების გაუარესების დროს.

უხეში მოპყრობა მუშებმა უნდა დაამტკიცონ მუშათა საკონფლიქტო კომისიაში.

შრომის ანაზღაურება.

შრომის ანაზღაურებას განსაზღვრავს კოლექტიური ხელშეკრულება, ამასთანავე ხელფასი შეიძლება იქნეს მთელი დროის მიხედვით ან გარიგებით. ხელფასის მიცემა უნდა სწარმოებდეს სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაოს ადგილზე. ის პირი, რომელიც ასრულებს სხვა და სხვა კვალიფიკაციის სამუშაოს, იღებს ხელფასს უმაღლესი კვალიფიკაციის კვალობაზე.

წმინდა კვალიფიკაციაზე გადაყვანის დროს 2 კვირის განმავლობაში რჩება უმაღლეს კვალიფიკაციის ჯამაგირი და შემდეგ კი დაბალი კვალიფიკაციისა.

თავდაცვის საშუალებანი და საწარმოვო ტანთსაცმელი ეძლევა წარმოების ხარჯზე, ხოლო ასეთების არ მიღების დროს მუშა იღებს კომპენსაციას მისაღებ საგნების ღირებულების კვალობაზე.

სამუშაო დრო.

სამუშაო დრო განისაზღვრება მოზრდილთათვის 8 საათით, მცირე წლოვანთათვის—4 საათ. და შეგირდების—6 საათ.

ღამის დრო ითვლება საღამოს 10 საათ. დილის 6 საათამდე და სამუშაო დრო გამოიანგარიშება 7 საათის კვალობაზე და ამგვარად ერთი საათის მუშაობისათვის მუშას ეძლევა მთელი სამუშაო დროის ღირებულების 8-მეშ.

სოციალური დაზღვევა.

სოციალური დაზღვევა სწარმოებს შემდეგი სახით: 1) დროებით ავადმყოფობის დროს მუშას ეძლევა დახმარება სატარიფო განაკვეთის რაოდენობით, 3) დასამარხავათ ეძლევა დახმარება სამოქალაქო დაკრძალვის საშუალო ღირებულება მაგრამ არა უმეტეს ერთი თვის განაკვეთისა. 3) უმუშევრებს ეძლევათ დახმარება არა უმცირეს 6 თვისა და 1-მეექ.-სა, 4) პენსიები ეძლევათ მოხუცებულობის გამო და მნიშვნელობა აქვს მუშაობის ხანგრძლივობას და 5) ოჯახის წევრებს ეძლევათ უზრუნველყოფა საშუალებათა ნაკლულოვანების გამო. დახმარება ეძლევათ მცირე წლოვანთ: შვილებს, ძმებს და დებს, ორივე ცოლქმარის ღრმად მოხუცებულ მშობლებს და შრომის უნარს მოკლებულ ცოლქმარს ან ისეთ ცოლქმარს რომელთაც არა ჰყავთ შვილები 8 წლის ჰასაკამდე.

პროფკავშირებს შეუძლიათ იყონ ქონების მფლობელნი.

154 მუხლი გადაჭრით ამბობს, რომ პროფკავშირებს შეუძლიათ იყონ ქონების მფლობელნი, და აგრეთვე დასდონ ხელშეკრულებანი, მაგრამ რა თქმა უნდა ისინი თვით არ უნდა უშვრებოდენ ექსპლოატაციას ამ ქონებას, რათა არ აღმოჩნდენ დამქირავებლის მდგომარეობაში თავიანთ კავშირის წევრთა მიმართ.

საერთოთ შრომის კანონების ახალი კოდექსი არის მშრომელთა მინიმალურ უფლებრივ ნორმების საერთო ჯამი.

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე-2-რე ყრილობა

(მე-3 სხდომა).

ყრილობის მესამე სხდომა შესდგა 7 თებერვალს, დილის 10 ნახ. საათზე ამხ. ქაცარავას თავმჯდომარეობით. ყრილობა შეუდგა სარევიზიო კომისიის მოხსენების მოსმენას.

სარევიზიო კომისიის მოხსენება.

მომხსენებელმა წარმოუდგინა ყრილობას ვრცელი სურათი ცენტრალურ გამგეობის მუშაობისა. მან აღნიშნა მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ფინანსების მხრივ სარევიზიო კომისიამ აღნიშნა სრული წესიერება და ანგარიშების სისწორე. საერთოდ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გამგეობამ მუშაობას ხელი მოჰკიდა მთელი თავისი ენერგიით და მონდომილობით და თუ ყველაფერი ვერ გააკეთა, რაც შეუძლებელი იყო საანგარიშო დროს განმავლობაში, მან მაინც დიდი მუშაობა შეასრულა, ჩაუყარა მტკიცე საფუძველი განათლების მუშაკთა კავშირის მოწყობას და ორგანიზაციას, რამოდენიმედ შედარებით წარსულთან გააუმჯობესა მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობა, შექმნა ტფილისში დასაყრდნობი წერტილი კულტურულ განმანათლებელ მუშაობის მაზრებში გასავრცელებლად და სხვა.

სარევიზიო კომისიის მოხსენების მოსმენის შემდეგ გაიხსნა კამათი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშების გარშემო.

კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მაზრების წარმომადგენლებმა, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავდენ ადგილებზე განათლების საქმის მეტად ცუდ მდგომარეობას. მეცადინეობის წარმოებისათვის არ არის მაზრებში ხელშემწყო პირობები: როგორიც არის მაგალითად სასწავლებლისათვის საკამო შენობა, არ ეძლევა გასამჯელო და ულუფა მასწავლებლებს და სხვა. კამათში მონაწილე ორატორები ადგილებიდან აღნიშნავდენ ადგილების ძლიერ სუსტ კავშირს ცენტრთან ერთის მხრივ და სრულიად გაუგებრობას და გაურკვევლობას ურთი-ერთ შორის დამოკიდებულების საკითხში ადგილობრივ განათლების კავშირებსა და განყოფილებებს შორის. ასეთი არა ნორმალურ მდგომარეობას ისინი ხსნიან მით, რომ ცენტრალურ გამგეობას არ ჰქონდა სერიოზული ყურადღება მიქცეული მაზრებისათვის. მაზრები თავის დროზე ვერ ღებულობენ ინსტრუქციებს, განკარგულებებს, რის გამოც არსებობს გაურკვევლობა ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებისა და კავშირის საკითხებში. ისინი აღნიშნავენ, რომ ის ხელშეკრულება განათლების კომისარიატთან, რომელზედაც ლაპარაკობდა გამგეობის წარმომადგენელი, ბევრ მაზრებს არ მიუღია, ამის შესახებ არაფერი სცოდნია და ის, რასაკვირველია, ვერ გახდებოდა სამაგალითოდ მაზრებისათვის, როგორც გამგეობა ამბობს. ყრილობამ და მომავალმა ცენტრალურმა გამგეობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მაზრებში განათლების საქმეს, იმ დაბრკოლებების მოსასპობად, რომლებიც აღნიშნული იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე შემოქმედებითი მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

შემდეგი სიტყვა ეძლევა ამხ. შავერდოვას.

ამხ. შავერდოვას სიტყვა.

ის განმარტავს, რომ ის ცუდიმდგომარეობა კულტურულ განმანათლებელ მუშაობის დარგში, რომლებზედაც ლაპარაკობდენ მაზრების წარმომადგენლები, აიხსნება იმ გარემოებით, რომ განათლების მუშაკთა კავშირი წარმოადგენს ახალგაზრდა ორგანიზაციას. ის აერთიანებს ისეთ წევრებს, მასწავლებლობას რომლებიც ძველ მთავრობის დროს არსებულ პროფესიონალურ კავშირების მიერ აღზრდილნი არიან ძველ ტრადიციებზე, კავშირი აერთიანებს წევრებს, რომლებიც ადგილებზე სუსტნი არიან არა აქვთ წარმოდგენილი ნათლად, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს საბჭოთა ხელისუფლების დროს, ნამდვილი რევოლიუციონური პროფ სიონალური მუშაობა. ამისათვის გამგეობას პირველ რიგში მიქცეული ჰქონდა ყურადღება პროფესიონალურ მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისაკენ თვით რესპუბლიკის ცენტრში ტფილისში. გამგეობას უნდა შეექმნა ახალი მეთოდები მუშაობისა, გაერკვია მათი გამოყენების მიზანშეწონილება და ისე შესდგომოდა მუშაობას მაზრებში. ასეთი მეთოდების შექმნა და გამომუშავება შესაძლებელი იყო მხოლოდ აქ ცენტრში ტფილისში, სადაც განათლების მუშაკები შედარებით უფრო გაერთიანებულნი არიან კავშირში.

ცხადია ასეთი გარკვეული და ყოველ მხრივ შემოწმებული მეთოდების გარეშე ყოვლად შეუძლებელი იყო მუშაობის წარმოება ისეთ მასსაში, რომელსაც წარმოადგენს მასწავლებლობა; რომელიც მართლაც წარმოადგენდა წინედ არა განათლების მუშაკთა კავშირს თავისი ნამდვილი შინაარსით და მნიშვნელობით, არამედ —მხოლოდ მასწავლებლების კავშირს. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ გამგეობის ყურადღების სიმძიმის ცენტრი მიმართული იყო ტფილისისაკენ, რაზედაც ბევრს ლაპარაკობენ მაზოების ზოგიერთი წარმომადგენლები. შემდეგ ამხანაგი შავერდოვა ეხება მატერიალურ მდგომარეობას მასწავლებლობისას და აღნიშნავს, რომ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმზე ეს საკითხი დასმული იყო ერთ უმთავრეს საკითხად, რომლის შესახებ გამოტანილი იქმნა დადგენილებები, რომლებიც, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იქნებიან განხორციელებული ცხოვრებაში. ჩვენ საქმე გვქონდა და გვაქვს ჯერ კიდევ ინდიფერენტულ საკავშირო მასსასთან, მათ პროფკავშირის მუშაობაში ჩასაბმელად შევასრულეთ შავი მუშაობა, ეხლა თქვენ ხართ მოწოდებული და მოწვეული მოგცეთ დირექტივები და მეთოდები მომავალ მუშაობისათვის.

კამათში მონაწილე ორატორებმა თავისი სიტყვაში გაატარეს აზრი იმის შესახებ, რომ მათ ვერ გაუგიათ რა არის მიზეზი და რა სარჩული უდევს იმ რყევას, რომელსაც განიცდის მათი სამუშაო ხელფასი ერთის მხრივ და რით აიხსნება ის გარემოება, რომ სხვა დარგის მოსამსახურენი, როგორიც არიან მაგალითად აფთიაქებში მომუშავენი ღებულობენ გაცილებით მეტ სამუშაო ხელფასს. ახსნა განმარტებისათვის სიტყვას ღებულობს ამხანაგი ყურულაშვილი.

ამხ. ყურულაშვილის სიტყვა.

ის დასაბუთებულ ახსნა განმარტებებს იძლევა. სატარიფო პოლიტიკაზე, რომელიც ვერ წარმოუდგენიათ ზოგიერთ ორატორებს და თავისებური გამოანგარიშებით, რაც დამყარებულია სრულ უსაფუძვლობაზე და საქმის შინაარსის არ ცოდნაზე, მოჰყავთ მაგალითად ხელფასის ისეთი რაოდენობა, რომელიც სინამდვილეში არ ყოფილა. შემდეგ ამხ. ყურულოვი ეხება ორ ჯგუფის მუშაკებს, რომლების ხელფასის მომატება არის დასმული პირველ რიგის საკითხად. ეს არის განათლების მუშაკები—მასწავლებლები და ჯანმრთელობის დაცვის დარგის მუშაკები. ისინი აყვანილნი არიან სახელმწიფოს ხარჯზე, მაგრამ ადგილობრივ შემოსავლიდან, თუ ასეთები იქნება რასაკვირველია მათ მიეცემათ განსაზღვრულ ხელფასზე დამატებით. ამხანაგმა დაწვრილებით ციფრების მოყვანით ილაპარაკა ყველა სატარიფო განაკვეთებზე და აღნიშნა მიზეზები, რომლებიც სარჩულად ედვა მათ შემუშავებას.

ამხ. გეგენავას სიტყვა.

თავის უკანასკნელ სიტყვაში ამხ. გეგენავამ დასაბუთებული პასუხი გასცა ყველა კამათში მონაწილე ორატორებს და დღის 3 საათზე სხდომა დაიხურა. რეგლამენტის მიხედვით შემდეგი სხდომა გაიხსნება საღამოს 6 საათზე.

აფერისტ სმოლსკის პროცესი

8 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაიხსნა უზენაეს რევტრიბუნალის მესამე სხდომა, რომელზედაც გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

ბრალდებული ივანოვი (პარიკმახერი) გაეცნო სმოლსკის თავის როსტოველ ამხანაგ და მეგობარ პავლე კონდრატიევის საშუალებით, რომელთან მას შემთხვევით მოუხდა შეხვედრა ერევნის მოედანზე.

ვინაიდან ივანოვი იმ ხანებში განიცდიდა მატერიალურად უკიდურეს მდგომარეობას, მან კონდრატიევისგან მიიღო დაპირება, რომ ის მიღებულ იქნება სათანადო სამსახურში. ეს საუბარი კონდრატიევთან მას მოუხდა წყნეთის ქუჩაზე. ამ მოლაპარაკების შემდეგ ივანოვი გაემგზავრა მოწმე ნატიევის სახლში (ბრალდებული ერისთავის სიდედრია), რომელიც მოთავსებულია წყნეთის ქუჩაზე და სადაც ცხოვრობდა მოქ. სმოლსკი. აქ ივანოვი დანიშნულ იქნა სხვა და სხვა გვარ დავალების აგენტად.

რევტრიბუნალის შეკითხვაზე—იყო თუ არა ივანოვი სმოლსკის მესაიდუმლე თანამშრომელი, ივანოვი უარს აცხადებს.

შემდეგ დაკითხვებისგან გამოირკვა, რომ ივანოვი არ ღებულობდა არავითარ გასამრჯელოს სმოლსკისაგან, მხოლოდ ის იმყოფებოდა მისი ოჯახობის სრულ ხარჯზე, სადაც ის ასრულებდა ამ უკანასკნელის სხვა და სხვა გვარ მცირემნიშვნელოვან დავალებას, განსაკუთრებით სმოლსკის ცოლისაგან.

ივანოვი თავის თავს არ სცნობს ბრალდებულად ყალბ საბუთების დამზადებაში და ის სასამართლოს კატეგორიულად უპასუხებს, რომ მას არასოდეს ეჭვიც არ მოსვლია დაწესებულების და მისი უფროსთა სიყალბეში.

ბრალდებულ ფედოსოვიჩი და ერისტოვის განცხადებიდან გამოირკვა, რომ ისინი ყოველთვის დარწმუნებული იყვნენ, რომ სმოლსკი ნამდვილად მათი კანონიერი უფროსია და როგორც ასეთს ემორჩილებოდნენ მას სამსახურის თვალსაზრისით. სმოლსკი მათ ნებას რთამდა, რათა მათ მოსკოვში გამგზავრების დროს წაეღოთ თან სასპეკულიაციოდ სხვა და სხვა გვარი პროდუქტები. მასთან ერისტოვი აცხადებს, რომ სმოლსკის სპეკულიაცია მიაჩნდა კანონიერ მოვლენად ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ.

ეს გარემოება ფრიად ხელსაყრელი იყო იმ მცირე ხარისხოვან თანამშრომელთათვის, რომელთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ თვით ფედოროვიჩი და ერისტოვი, მით უმეტეს, რომ არც ერთი მათგანი არ იღებდა გასამრჯელოს.

ამ გვარად მათ მიერ გატანილ იქნა მოსკოვში და პეტროგრადში შაქარი და სხვა პროდუქტები, რომელნიც განაღდებულ იქნა აღნიშნულ ქალაქების ბაზრებზე, ფულები კი განაწილებულ იქნა მათ შორის იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენი წაიღო.

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ, რევტრიბუნალი გამოიხმობს მოწმეებს დასაკითხავად. მასთან ტრიბუნალის მდივანი აქვეყნებს იმ განცხადებებს, რომლებიც შემოვიდა მოწმეებისაგან (კიკვაძე და ამირაგოვისაგან), რათა ისინი იქნენ დაკითხული პირველ რიგში.

ტრიბუნალი საწინააღმდეგო აზრს არ გამოსთქვამს და აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებას.

მოწმე კიკნაძე (ღვინის ვაჭარი) ამოწმებს, რომ სმოლსკის კანცელარია მართლა ქონდა საპიორის ქუჩაზე, სადაც მას მოუხდა შესვლა და ნახა რამდენიმე მისი თანამშრომელი. მოწმე ამირაგოვი (სასურსათო კომისარიატის კოლეგიის წევრი) მოუთხრობს სასამართლოს სურსათის გატანის ნებართვების გაცემის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან. ტრიბუნალის თავმჯდომარის შეკითხვაზე--ხომ არ ახსოვს მოწმე ამირაგოვს 1922 წ. თებერვალში მისცა თუ არა მან ნებართვა სმოლსკის მოსკოვში 230 ფუთი შაქრის გასატანათ, ამირალოვი უპასუხებს, რომ არ ახსოვს, რადგანაც მას ხშირათ უხდებოდა მოწმობების გაცემა.

ბრალმდებელი. თქვენი დაწესებულების მუშაობის მიხედვით არ ყოფილა შემთხვევები, როდესაც თქვენ ეჭვი შეგხაროდეთ მოთხოვნილების სინამდვილეში.

ამირალოვი. იყო, მაგალითად რუსეთის წითელი ჯვრის წარმომადგენლის საეჭვოთ გვეჩვენა, ჩვენ შევატყობინეთ, სადაც ჯერ არს და ის დაატუსაღეს.

ბრალმდებელი. ვის უფრო აძლევდით გატანის ნებართვებს და თუ ქონდა პრივილეგიები სამხედრო ნაწილებს.

ამირალოვი. დიახ, სამხედრო ნაწილებს უფრო ადვილათ ეძლეოდათ ნებართვები.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა ა. წ. 9 თებერვალს
ერთიან პარტიული დღის
წესრიგი გამოიმუშაონ რაიკომებმა და თვით იაჩეიკებმა.
მდივანის მაგ. რუბენი.

მეორე რაიონულ ორგანიზაციის წევრთა საზ. პარტიული კრება.

ოთხშაბათს, 7 თებერვალს, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა მეორე რაიონულ ორგანიზაციის წევრთა საზოგადო პარტიული კრება. კრების დღის წესრიგში იდგა მოხსენება აგრარული რეფორმის შესახებ. მოხსენება ზემოხსენებულ საკითხზე გააკეთა მიწადმოქმედების კომისარმა ამხ. ვანო სტურუამ. მან ვრცლად განმარტა აგრარულ რეფორმის მთელ რესპუბლიკაში გატარების ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს. აგრარულ საკითხის სათანადო ცხოვრებაში გატარება, სთქვა ამხანაგმა მომხსენებელმა, წარმოადგენს მეტად რთულ და ძნელ საქმეს. დღემდე თუმცა ამ დარგში დიდი მუშაობა სწარმოებდა, მაგრამ ეს საკითხი სავსებით ვერ იქმნა გადაწყვეტილი ისე, როგორც ამას მოითხოვდა ულარიბესი გლეხობის ინტერესები. მიუხედავად წარმოებულ მუშაობისა, ჩვენს სოფლებში ისევ ძლიერი ყოფილა თავადაზნაურობის და ყოფილ მემამულეთა გავლენა, რომლის დასამტკიცებლად მან მოიყვანა საკმაო ფაქტები, რომლებსაც ადგილი აქვს საქართველოს ბევრ მაზრებში. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა ამ ჟამად მთავარი ყურადღება მიაქცია ამ საკითხს, მის რადიკალურად გადასაწყვეტად. სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმზე ეს საკითხი იდგა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით და მის ცხოვრებაში გასატარებლად მან გამოიტანა დადგენილებები, რომლითაც ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს იმ გაუგებრობას, რომელიც არსებობს, სამწუხაროდ, საქართველოს რესპუბლიკის ბევრ მაზრებში. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლების მიხედვით მარტის შუა რიცხვებამდე უნდა ჩატარდეს ეს აგრარული რეფორმა. მიუხედავად მიწად-მოქმედების კომისარიატის დეკრეტის, დადგენილების № 14 და ახსნა-განმარტების, ბევრ მაზრებში ყოფილი მემამულეები, მენშევიკების მიერ მინიჭებულ ნორმებით ისევ თავისებურად სარგებლობენ. პარტიამ და აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის დამკრავ ამოცანად დაისახა მიწის რეფორმის რევოლიუციონურად, რაც შეძლება მოკლე ხანში გატარება. ამისათვის ფრიად გამოყენებულ უნდა იქნას ჩვენი პარტიული მასსები. ულარიბეს გლეხობაში, სოფელშიც უნდა მოხდეს რევოლიუცია. ულარიბესმა გლეხმა უნდა იგრძნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მიწის საკითხში უდგება საკითხს ისე, რომ მით სარგებლობის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ მათ, ვინც თავისი შრომითა და ოფლით ამუშავებს მას. კომისარიატის მიერ ამ მხრივ უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. შემოდის კომისარიატში მრავალი საჩივრები, რომლებიც ნათლად ააშკარავებენ იმ გარემოებას, რომ დღევანდლამდე კიდევ ძველი მემამულეები სარგებლობდენ მიწების დიდი რაოდენობით. ამას კიდევ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ თვით სახალხო კომისარიატში, მასთან არსებულ საგანგებო კომისიაში იყვნენ ისეთი პირები, ყოფილი მემამულეები, რომლებიც ყოველთვის ცდილობდენ საქმე გადაეწყვეტათ მემამულეთა და თავად-აზნაურების სასარგებლოდ. საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გორის მაზრაში. ტფილისიდან გამგზავრებულმა საგანგებო კომისიამ 28 საქმეში, რომლებიც ადგილობრივ სამიწაწყლო განყოფილებისა და სამაზრო კომისიის მიერ გადაწყვეტილი იყო ღარიბ გლეხების სასარგებლოდ, ხელახლად დადგენილებები გამოიტანა და თითქმის ყველა გადასწყვიტა მემამულეთა და „კულაკების“ სასარგებლოდ. ამხ. სტურუას მოხსენებამ გამოიწვია დიდი ინტერესი. იყო მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც მან მისცა ყველას დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტებები.

მიწად-მოქმედების კომისარიატი უნდა გაიწმინდოს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილე ამხანაგებმა კრების ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებისაკენ, რომ ყოველივე ეს ბევრად შედეგი იყო იმის, რომ თვით მიწად-მოქმედების კომისარიატში მოკალათებული იყვნენ ძველი მემამულე-ჩინოვნიკები, რომელთა დახმარებით ყოფილმა თავად-აზნაურებმა და მემამულეებმა შესძლეს უზარმაზარი ნორმების შენარჩუნება, ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწადმოქმედების კომისარიატს და დაუყოვნებლივ გაწმენდილ უნდა იქნას ის ამ მავნე ელემენტებისაგან.

უნდა მოხდეს ჩვენი ძალების მობილიზაცია რეფორმის გასატარებლად.

რეფორმის გატარება დასრულებულ უნდა იქნას მარტის შუა რიცხვებში. მისი რევოლიუციონური სინდისით, სისწორით გასატარებლად უნდა მოხდეს პარტიულ ამხანაგების მობილიზაცია მათი მაზრებში გადასასროლად, რათა ხსენებული რეფორმა კანონიერად და წესიერად გატარებულ და დამთავრებულ იქნას მოკლე დროს განმავლობაში.

რეზოლიუცია.

მოხსენების შემდეგ კრებას გამოაქვს რეზოლიუცია, რომელშიაც ის სრულიად იწონებს აღმასკომის დადგენილებებს აგრარულ რეფორმის გატარების შესახებ. აუცილებელ საჭიროდ სთვლის პარტიულ ამხანაგების მობილიზაციას რეფორმის ადგილებზე სისწორით გასატარებლად და წინადადებას აძლევს კომუნისტებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მიწებთან და სარგებლობენ მით, დაუყოვნებლივ ჩამოერთვათ, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება კომუნისტურ ეთიკას.

ძირს თავადები და მემამულეები.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას სოფელში!

მუღანის ველის განაყოფიერება

თანახმად ინჟენერ რუჟიჩკისა, რომელიც მივიდა მუგანში, როგორც ინსტრუქტორი და ჩაიტანა იქ „პრაგის“ ფირმის ტრაქტორები, ეს ტრაქტორები აღმოჩნდენ ძლიერ გამოსადეგი მუგანში სამუშაოდ. მათი დიდათ სასარგებლო სისტემა საუკეთესოა უსწორ-მასწორ და ბუჩქნარით შემოსილ ადგილების დასამუშავებლად.

საქმე იმაშია, რომ ნაყოფიერი ფენი მუგანში ნორმალურად ღრმა არ არის,—მოხნა შეიძლება მხოლოდ 4 ვერშოკის სიღრმეზე, ყველაზე უფრო ნაყოფიერი ადგილები კი მოფენილია ბუჩქნარით და სხვა წვრილი მცენარეულობით.

ინჟ. რუჟიჩკამ ამხ. ლენინის სახელობის პლანტაციაზე გაგზავნა ათი ცალი მოტო-სახნისი (ტრაქტორი და სახნისი—ერთი მთლიანია). სახნისების მუშაობა დაიწყო პერსონალის გაწვრთნით.

ამხ. რუჟიჩკას გამგზავრების შემდეგ მუშაობაში ჩააბეს ყველა ათი სახნისი. თვითეული სახნისი პლანტაციაზე 8 საათის სამუშაო დღის განმავლობაში ასწრებს 5 ნახევარ დესიატინის დახვნას.

როდესაც პირველი დახვნა დამთავრდება, ეს სახნისები იმუშავებენ სპეციალური ჩარჩოებით უფრო ფართე სივრცეზე. ამგვარად შესაძლებელი გახდება სახნისების შრომის ნაყოფიერების 75 პროც. გადიდება.

ამხ. ლენინის სახელობის პლანტაციაზე მიმდინარე წელს დასამუშავებელია 12.500 დესიატინა მიწა. ამ საქმეზე „პრაგა“-ს ათი მოტო-სახნისის გარდა ამუშავებენ სხვა ტრაქტორებიც—სულ 130-მდე. მათი ნაწილი უკვე მიტანილია ადგილზე, ნაწილი კი გზაშია.

თუ მუშაობა ახლო მომავალში დაიწყო, დახვნა დამთავრდება თესვის დაწყებისას.

რადგან „პრაგა“-ს მოტო პლუგები საუკეთესო გამოდგა სამუშაოდ, მუგანის სამელიორაციო გამგეობამ შეისყიდა იმავე ფირმისაგან და იმავე ტიპის კიდევ 10 მოტო სახნისი.

რუჟიჩკა გამოსთქვამს თავის ღრმა პატივისცემას ყველა მათდამი, ვინც ასე ენერგიულად მუშაობს მუგანში.

ცხოვრების მეტად მძიმე პირობებში ყველა, დაწყებული უბრალო მუშიდგან და გათავებული პასუხისმგებელ ხელმძღვანელებით, მუშაობენ შეუსვენებლივ და ღრმად დარწმუნებული არიან საქმის გამარჯვებაში და საქმეც ყოველი წუთით წინ მიდის.

ინჟენერ რუჟიჩკას აზრით, მუგანის სამელიორაციო სამმართველოს მუშაკების იშვიათი ერთსულოვნობა არის იმის გარანტია, რომ ეს შრომა უბრალოდ არ ჩაივლის. მუგანი—ეს არის ამერიკული პრერია და ეხლანდელი მუშაობა „ამერიკულსავე“ შედეგებს იძლევა.

ეკონომიური ცხოვრება

რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის კურსის დამწესებელი კომისიის კურსი.

8 თებერვალი.

ოქროს 10 მან. — —	4,900 ათ.
გირ. სტერლ.— — —	3,775 ათ.
დოლარი — —	885 ათ.
ლირა — — — —	520 ათ.
საბჭოთა ფულ. ნიშნ. —	17 პრ.

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე.

6 თებერვალს.

მთლიანი მუშათა კოოპერატივის და სახელმწიფო ბანკისგან პურის ფქვილის დაგვიანებული მიწოდების გამო ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ინფორმაციულ განყოფილების ცნობების თანახმად—დილიდან შემჩნეული იყო გადიდებული მოთხოვნილება ყუბანის გაცრილ ფქვილზე, რომლის ფასიც ერთბაშად ფუთზე 800 ათასამდე ავიდა. რამოდენიმედ დაიწია ხორბლის ფასმა, დანარჩენი მარცვლეული კი თან და თან იწევს. აიწია რაფინადი შაქრის ფასმა. ერთი ოსმ. ქაღალ. ლირით იაშიკზე. მაგალ. ფასები შემდეგია: ადგილობრივი ხორბალი ფუთი 350—580 ათასი, ყუბანის გაცრილი ფქვილი ფუთი 800 ათასამდე. გარჩეული ხორბალი 400—450 ათ. ადგილობრივი ქერი—280—290. ხორბლის ფქვილი 450—480. ყვითელი სიმინდის ფქვილი—300 ათ. შაქარი რაფინადი დატეხილი 3 ტომრიანი ყუთი 30 ოსმალური ქაღალდის ლირა. ფხვნილი შაქარი ფუთი 6,70—5,80 ოსმალური ქაღალდის ლირა. ჩითი საზღვარ-გარეთული იარდი —25—31 პიასტრი. ნარმა „სსს.“—40 იარ. 22—20,50 ოსმ. ქაღ. ლირა. რუსული ჩითი არშინი 130 ათასი. სატინა—1 ფრანგული მეტრი 65—110—პიასტრი. რუსული სატინა არ

მუშათა ცხოვრება

ასოთ-ამწყობი

უჯრედებიან ყუთების წინ ვდგევარ სტამბაში,
თითებით ვეძებ დიდ-პატარა საანბანოებს,
დასასვენებლად ჯერ შორს არის ჩვენი „შაბაში“,
ფრინველის საკენკ მარცვლებივით ვკრეფავ ასოებს.

ასოს ასოსთან შეერთებით სდგება სიტყვები,
სიტყვებისაგან სტრიქონები შეივსებიან,
სტრიქონებისგან აშენდება გრძელი სვეტები
და სვეტებისგან თვით გვერდები შეიკვრებიან.

ზოგ-ზოგი გვერდი ტყვიისაგან ისე მძიმდება,
ძარღვებს უჭიმავს ვაჟკაცს ნაქებს, ვაჟკაცს ნაქადებს,
მშრომელის გული მაინც ხარობს, მაინც ღიმდება,
რადგან მის ხელი საარსებო ნაყოფს ამზადებს.

მანქანა იხვევს მუშის ნაშრომს და ნაამაგებს,
დამწყობი თითქო ეჯიბრება ბორბლის გრიალსა.
აქ ერთი ჰკინძავს, იქ მეორე მარჯვედ ალაგებს,
თვალი ვერ ასწრებს სასიცოცხლო ბრუნვა-ტრიალსა.

ცხრა საათია. ათი წუთით საუზმის დროა.
ზოგი ხმელ პურსა მშრალად ღოღნის, ზოგი ყველს ატანს.
ჩვენი ცხოვრება ერთისათვის ყუჩი, მყუდროა,
მეორესათვის თვისი რუზღი ორ დღეს ვერ გასტანს.

ჰოი, მკითხველო, გულში ლამპარს რომ აანთებდე,
გაზეთში მწვანილს არასოდეს არ გაახვევდი!
მგოსნის გრძნობას და მუშის შრომას რომ აფასებდე,
მათთან კავშირსა და ერთობას არ დაარღვევდი!

მაშ, მომავალო შრომის შვილო, კოკორ-გაშლილო,
წიგნს გაუფრთხილდი, ვით ძვირფასს განძს, ვით თვალის
ჩინსა,
რომ გაიფურჩქნო და ცხოვრება გაიადვილო,
არ გაუმტყუნდე სანეტარო ტკბილ მოლოდინსა!!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

კურტნის მუშა

კურტნის მუშა, ტვირთს რო ზიდავს
მას მუხლში აქვს ძალი ღონე,
ისიც შრომის შვილი არის
მოქალაქე თავმომწონე.

ცბიერება მას არა აქვს
ოფლით სცხოვრობს ქვეყანაზე,
ზურგით მძიმე ტვირთი დააქვს
პატარა და დიდ მანძილზე.

გაკოტრების შიში არ აქვს
როგორც ცრუ ვაჭრის დუქანსა
შრომის ტვირთი ზურგით დააქვს
და უვლის თავის კურტანსა.

მდიდარი თუ დარდით ქშინავს
ქანც გაწყვეტილ ილაჯითა,
ქოხში მუშას ტკბილად სძინავს!
თავის ძველი ფარაჯითა.

მაშ ვინც მუშას უღალატოს
მშრომელ ხალხის ოფლი ჰჭამოს,
ზეცა რისხვად მოევლინოს
და სიცოცხლე ჩაუშხამოს.

გაუმარჯოს მშრომელ მუშებს
მთელი ქვეყნის ბრძოლის გმირებს,
სიცოცხლე და გამარჯვება
შრომის ოფლში გამოზრდილებს.

გიორგი ჩარხიშვილი

ძირს სამარცხვინო სენი!

ქაღალდის თამაში მუშათა შორის სამართლიანად ითვლება ლოთობის შემდეგ სამარცხვინო სენად.

ის ზნეობრივად რყვნის, აჩლუნგებს და აბნელებს ადამიანის გონებას.

მძიმე მუშაობის შემდეგ დასვენების და სასარგებლო გონებრივ ვარჯიშობის მაგიერ, ზოგიერთი მუშა თამაშში კარგავს თავისუფალ დროს.

ბრძოლა ამ გამათახსირებელ სენთან უნდა გადიქცეს ჩვენი პროფ. და პოლიტიკურ ორგანიზაციების დამკვრელ ამოცანათ.

თავდაპირველად ქაღალდის თამაშს მუშათა შორის უნდა შეებრძოლოს მუშათა პირვანდელი პროფორგანიზაციები—ქარხკომები და ადგილკომები, როგორც ეს ქნა თბილისის 1-ლ საბჭოთა საავადმყოფოს ადგილკომმა, რომელმაც ქაღალდის თამაშში შემჩნეული ოთხი მუშა პირველ გაფრთხილების სახით დააჯარიმა თითო 500,000 მანეთით და გამოაკრა მათი გვარები სამარცხვინო ბოძზე.

ეს სასტიკი მსჯავრი უნდა გადიქცეს დანარჩენ პროფორგანიზაციებისათვის მისაბაძ მაგალითად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საზიზღარი სენი ადვილად შეიძლება იქცეს ჩვენი მუშათა დამღუპველ ეპიდემიად, ვინაიდან ამის ნიშნები უკვე არის შემჩნეული მუშათა ყოფა-ცხოვრებაში.

ინფორ-კორესპონდ. ა. ნ.

მუშა-მოსამსახურეთა საყურადღებოდ!

კითხვა. ვინ უნდა გადაიხადოს 1000 მანეთი თვეში ბინის თვითეულ ოთხკუთხ არშინში?

პასუხი. ა) სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებების და წარმოების მუშამ და მოსამსახურემ—პროფკავშირის წევრებმა, და აგრეთვე მათმა ოჯახის წევრებმა, თუ ისინი იმყოფებიან მათ ხარჯზე;

ბ) იმ პირებმა, რომელთაც დაკარგეს შრომის უნარი და დასახიჩრდნენ ომში, ვინც იმყოფება სოციალურ უზრუნველყოფაზე;

გ) იმ უმუშევრებმა, რომლებიც ირიცხებიან შრომის ბირჟის აღრიცხვაში და სარგებლობენ სოციალურ დაზღვევის უფლებით;

დ) პროფკავშირის წევრებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში და წარმოებებში, თუ ისინი თავიანთი მუშაობის ხასიათით წარმოადგენენ მარტოხელებს (დურგლები, მხატვრები, მექუსტეები და სხვა).

კითხვა. ბინის რამდენ ოთხკუთხიან არშინში უნდა იხადონ ზემოაღნიშნულ პირებმა 1000 მან?

პასუხი. 25 ოთხკუთხ არშინზე ოჯახის შემადგენლობის სულზე, თუ ბინის მოცულობა ამაზედ მეტია, ყოველ ოთხკუთხიან არშინზე 2000 მან.

ს. პ. ს. კ. იურიდიული ბიუროს მდივანი **ბეგიაშვილი.**

შინი 180 ათ. მადაპალამი საზღვარგარეთული იარდი 50 პიასტრი. ინგლისური შევიოტი—მეტრი 300 ათასი, მარსელის საპონი 50 კილო—24 ოსმალური ქაღალდის ლირა. მარმარილოს საპონი ფუთი 2300—2800 ათ.

ტფილისის ფულის ბაზარი.

ყოველ ფრონტზე შემჩნეულია ტენდენცია დაწევისაკენ. კურსის დიდ დაცემას ადგილი არა აქვს, მაგრამ მაინც შესამჩნევი ხდება კურსის დაწევა.

ქრონიკა

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმში.

— **საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის** სხდომაზე 3 თებერვალს დადგენილ იქნა: 1. საქართველოს შიმშილობის შედეგებთან მებრძოლი კომიტეტის თავმჯდომარეთ დანიშნულ იქნას ამხ. ვ. სტურუა. 2. დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში შევლენ: ამხ. საბაშვილი, ივანოვ-კავკაზსკი და ა. თუმანოვი, საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის დღესასწაულის მოწყობა. 3. დაკმაყოფილებულ იქნას შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის შუამდგომლობა ვაზიანში სახელმწიფო შენობის ტფილისის სამაზრო აღმასკომზე გადაცემის შესახებ. 4. დაკმაყოფილებულ იქნას შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის შუამდგომლობა მცხეთაში აგარაკ მონასტერის ნაციონალიზაციის და მისი ტფილისის სამაზრო აღმასკომისთვის გადაცემის შესახებ საბავშო სახლის მოსაწყობათ.

სახ. კომისართა საბჭოში

— **სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შუამდგომლობა.** სახალხო კომისართა საბჭომ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შუამდგომლობის თანახმად დაადგინა: წინადადება მისცეს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო მეურ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად შეიმუშაოს და გამოუშვას დადგენილება თავის საჭიროებისათვის ტყავეულობის ნაწარმოების მიწოდებისა, საერთოდ ტყავეულობით ვაჭრობაზე და საქართველოს საზღვრებიდან გასატან ნედლ მასალაზე კონტროლის გაწევის წესის შესახებ.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **აგარაკების შესახებ.** სახალხო კომისართა საბჭომ ჯანმრთელობის კომისარიატის შუამდგომლობის მიხედვით, საჭიროთ სცნო სახელმწიფო კუთვნილებათ შემდეგი აგარაკების გამოცხადება: ბორჯომის (საავადმყოფებათ), აბასთუმანი (კლიმატიური სადგურებათ), წაღვერის, ცემის, წყალტუბოს, ახტალას, პატარა ცემის, სუმბათოვის, ბაკურიანის, ციხის ჯვარის და მანგლისის. აგრეთვე სახელმწიფო კუთვნილებათ აღიარებულია შემდეგი ზღვის კლიმატიური სადგურები: ქობულეთის, მწვანე კონცხის, ციხის ძირის და ბათომის.

განათლების კომისარიატში.

— **მცირე წლოვან ბავშვთა უფლების დაცვის განყოფილების კოლლექტორის მუშაობის ანგარიში.** იანვარში კოლლექტორში ირიცხებოდა 115 მოწაფე, 53 ვაჟი და 62 ქალი. ამავე თვის განმავლობაში მიღებულ იქნა 37 ბავშვი 25 ვაჟი და 12 ქალი. კოლლექტორში გამოყვანილი იქნენ ავჭალის ახალშენიდან 6 ბავშვი 3—7 წლამდე. ქუჩიდან—4 ბავშვი, ბავშთა საავადმყოფოდან 21, შრომის სკოლებიდან—1, ქალთა განყოფილებიდან—1. შრომის კომისიიდან—1. მშობლების ოჯახებიდან—3. მათ შორის ეროვნების მიხედვით არიან—[illegible] 3 ქართველი, 8 სომეხი. [illegible] 2. განათლების ცენზის მიხედვით—წერა-კითხვის მცოდნე 12, [illegible] წერა-კითხვის 3. არა მცოდნე წერა-კითხვის 15, (9 ვაჟი და 6 ქალი).

სახელმწიფო გამომცემლობა.

— **გამომცემლობა.** სახელმწიფო გამომცემლობა ამ მოკლე ხანში შეუდგა შემდეგ სახელმძღვანელოების გამოცემას მთლიან შრომის სკოლებისა და ტეხნიკუმებისათვის: რუსულ ენაზე—1) რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის, ნაწილი 1-ლი, შედგენილი მასწავლებელთა წრის მიერ, 2) მეთოდური ქრისტომატია, ზედგინიძისა და ჯაფარიძის. ქართულ ენაზე—1) ჩვენი სკოლა 1 და 2 ნაწილი 2) თვალსაჩინო გეომეტრია ნ. შაფაქიძის, 2 და 3 ნაწილი, 8) არითმეტიკული ამოცანათა კრებული რცხილაძის 6—7 წლ. 4) ფიზიკა ოცხელისა და ნიჟარაძის, 5) ფიზიკა ჯანელიძის, 6) ზოოლოგია დ. იქუთათელაძის, 7) გეოგრაფია—ტფილისის აღწერა დ. დონდუასი, 8) ელემენტარული გეომეტრია 1 და 3 ნაწილი, 9) სტერეომეტრია ვ. კისელიოვის, თარგმანი კანდელაკის, 10) „ორთქლის ქვაბები“ ინჟ. ბ. ჭიჭინაძის შედგენილი (ნება დართულია სამეცნიერო საბჭოს მიერ). ითარგმნება და მზადდება დასაბეჭდათ შემდეგი თარგმნილი ლიტერატურა: 1) ფ. ენგელსი—მეცნიერული სოციალიზმის განვითარება, 2) მისივე—ლიუდვიგ ფეიერბახი. 3) გიორგი პლეხანოვი—ნარკვევი მარქსიზმის ისტორიიდან. 4) როზა ლიუქსენბურგი—სოციალური რეფორმები და რევოლიუცია. 5) კარლ მარქსი—გოტეს პროგრამის კრიტიკა. 6) მისივე—ფასი, ხელფასი და მოგება, 7) მისივე—სამოქალაქო ომი საფრანგეთში, 8) მისივე—18 ბრიუმერი. 9) მისივე—კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში. 10) ენგელსი—რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია გერმანიაში. 11) კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის წერილები.

სხვა და სხვა.

— **საქონლის ჭირი.** ქალაქის აღმასკომის საბეითლო-სასანიტარო განყოფილების ცნობით ტფილისში (ვაკე) გაჩნდა საქონლის ჭირი, რამაც გაწყვიტა რამდენიმე სული ძროხა. განყოფილებამ მიიღო სასწრაფო ზომები ჭირის საწინააღმდეგოთ.

ხელოვნება

შალვა დადიანის იუბილე.
სახალხო სახლში.

პარასკევს, თებერვლის 9, ზუბალოვის სახელობაზე არსებულ სახალხო სახლში პოლიტიკურ განათლების ქართული დრამატიული დასი აღნიშნავს შალვა დადიანის 30 წლის მოღვაწეობას.

საქართველოში არ მოიპოვება ქართველი წერა-კითხვის მცოდნე, რომ არ იცნობდეს დინჯს, დაკვირვებულს და მუდამ ახალგაზრდა შალვა დადიანს.

სახალხო სახლში ირწეოდა რევოლიუციის აკვანი, სახალხო სახლში ენთო ხელოვნების ცეცხლი; სწორეთ იქ მუშაობდა შალვაც. ძველ თავადთა გვარის შთამომავალი შალვას თავდავიწყებით უყვარს ხალხი; მან მიატოვა ფუფუნება და მივიდა ხალხთან, გაიგო მისი სულის კვეთება და 30 წელიწადია რაც იღწვის მისთვის.

ამიტომ არის, რომ სახალხო სახლი უაღრესათ აფასებს ამ მოღვაწის შრომას და იხდის მის იუბილეს. იმედია დემოკრატია და პროლეტარიატი ღირსეულათ დააფასებს შალვას მოღვაწეობას და დაესწრება მის იუბილეს.

სახალხო სახლის საიუბილეო კომიტეტი.

სახალხო სახლი.

2 თებერვალი

ნილაბ-ქვეშ—ნ. გერგესელის, მორიგი რეჟისორი—ა. ბადრიძე.

ნიკო გერგესელი ჩვენს დრამატურგიაში ახალი პროფილია, ფართე საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი, მას იცნობს მხოლოდ სახალხო სახლის აუდიტორია და პროვინციის ზოგი ადგილები. ნიკო გერგესელზე, როგორც დრამატურგზე, გადაჭრით რამის თქმა ნაადრევია, რადგანაც ის ჯერ დუღილშია და დახვეწა ესაჭიროება. პერსპექტივები უეჭველად დადებითია, რასაც ამტკიცებს მისი პირველი დრამა „ნილაბ-ქვეშ“ და უკანასკნელი „დამზრალი წალკოტი“. გერგესელს ფსიხოლოგიური დრამების წერა ემარჯვება, ამ მხრივ ის განსაკუთრებულ სკოლის მიმდევარია და ჩვენს დრამატურგიაში უეჭველად ახალი. პიესა „ნილაბ-ქვეშ“-ში დიდი გაქანებით არის გამოკვეთილი ქართველი მხედრობის რეაქციონური სულის კვეთება (როსტომი), უსახლკაროთა ტრაგიზმი (მარო), პატიოსანი რევოლიუციონერობა (კოტე), გათახსირებული არისტოკრატია (ბეგლარი) და კიდევ სხვა. გერგესელის დრამებში განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვა და სხვა შტრიხების თავის მოყრა და შესაფერი რეზიუმის გაკეთება. პიესა „ნილაბ-ქვეშ“ ჩვენ სხვა დროსაც გვინახავს, სხვა რეჟისორის დადგმული და შეიძლება ამიტომ 2 თებერვლის დადგმამ ვერ დაგვაკმაყოფილა. შეუფერებელი იყვნენ ზოგიერთი მოთამაშენი და ყალბი იყო მიზან-სცენები. გ. თაზიშვილი ძალზე მოისუსტებდა, ისეთი ნერვიული კაცი როგორიც როსტომი უნდა ყოფილიყო სულ სხვა სახის პატრონი იქნებოდა; თაზიშვილს პარტერიდან არ ეტყობოდა თუ გრიმი ქონდა, ახალგაზრდა სახეზე მიკრობილი თეთრი წვერი კარიკატურის შთაბეჭდილებას სტოვებდა. სხვა დროს თაზიშვილი იმავე როლში შეუდარებელი გვინახავს. ბ. ასათიანი (ნინო) უგულოთ თამაშობდა თორემ ნინო მისი ამპლუა არის და უკეთ უნდა შეესრულებია. საჭირო [illegible] გარდიქმნას, რომ ყველა პ[illegible]ში ერთნაირი არ იქნას [illegible] და განსაკუთრებით დრამატიული ადგილები ძალიან [illegible] „დამზრალი წალკოტის“ ლიდას [illegible]ონებდა, თუმცა ეს ორი ტიპი თითქმის ერთნაირია. უეჭველად მაყურებლის ყურადღებას ამ საღამოს იქცევდა მხოლოდ ერთი მსახიობი—ვლ. ადამიძე, ზნედაცემული ქვემძრომის, ბეგლარის როლი მან სრულის შეგნებით და დაკვირებით გადმოგვცა. ა. თავდგირიძემ ჩვენი შენიშვნის შემდეგ გაისწორა წარბების თამაში. ამ საღამოს თავდგირიძე კარგი იყო. ა. ლითანიშვილმა პირველი უარყოფითი შთაბეჭდილება შეანელა ბოლო მოქმედებაში, როცა ის იგებს, რომ მარო მისი და არის, ტრაგიკული ადგილი კარგათ იყო ასრულებული, მაგრამ სიმონი მაინც არ არის მისი როლი. თ. გოგოლაშვილი თავისი გარეგნობით სრულებით არ შეეფერება დატანჯული მაროს სულს და რაც უნდა დაკვირებით იქნეს გოგოლაშვილის მიერ ასრულებული ეს როლი მაინც შთაბეჭდილება უარყოფითი იქნება. თავშესაფარიდან გამოყვანილი მარო, რომელმაც დიდი დამცირებები განიცადა, ყოველ ნაბიჯზე არ შორდება სევდა, რომელსაც სიმონის ტლანქი შეხება კიდევ უფრო აასკეცებს და კოტეს წმინდა სახის დანახვაზე ფსიხოლოგიურ ტკივილებს განიცდის, არ შეიძლება სრული იქნეს ისეთი გარეგნობით, როგორც გოგოლაშვილია. ძალიან სუსტი იყო ა. ლორთქიფანიძე (ილო), ილოს ტიპი ან ლორთქიფანიძეს ვერ გაუგია ან და თვით რეჟისორს, ტანისამოსი და გრიმი ხომ სრულიად შეუფერებელი იყო.

ხელოვანი.

— **ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის კლუბი ბორჯომში.** ბორჯომის მინერალურ წყლების პარკში არსებული კლუბი „კურზალ“, რომელიც საგრძნობლად დააზიანა ყოფილმა წყალდიდობამ, ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით უკვე აღდგენილ იქნა. 31 დეკემბერს მოხდა საზეიმო გახსნა კლუბის „ოქტომბრის რევოლიუციის კლუბის“ სახელწოდებით. კლუბის დარბაზი იტევს 250 მსმენელს. გახსნის დღიდან უკვე აღნიშნულ კლუბში დაიდგა ათი წარმოდგენა სხვა და სხვა ენაზე. აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტმა გადასწყვიტა იმავე პარკში მოაწყოს ახალი თეატრი აღნიშნული სახელწოდებით, რომელიც დაიტევს 500 მსმენელს, რისთვისაც არჩეულია სამეული პლანის შესამუშავებლად და ფულის წყაროების გამოსანახათ.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს 9 თებერვალს „ლაკმე“ მონ. პოპოვა, სარაჯიშვილი, თუმანიშვილი, შარაშიძე და ბალეტი დივერტისმენტი სალნიკოვას მონაწილეობით.

— დღეს, 9 თებერვალს, საკამერო თეატრში დადგმული იქნება პიესა „ამხანაგისათვის“ (დრამა 3 მოქ.), დამსახურებულ მსახიობების ტერ-დავითიანის და არშაკ მამიკონიანის მონაწილეობით.

— **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ჩვენს გაზეთში „ხელოვნების“ განყოფილებაში, სახელმწიფო გამომცემლობის საავტორო ჰონორარის ტარიფის შესახებ დაბეჭდილ ცნობაში შემდეგი შეცდომებია: დაბეჭდილია—ჰონორარი პროზის 50 ასოზე მიეცემა 3 კ-დან 50 კ-მდე, უნდა იყოს —3 კ-დან 5-კაპ-მდე. აღნიშნულ გამომცემლობის მეორე ცნობაში გამოსაცემათ დამზადებულ ავტორებს შორის შეცდომით არის შეტანილი შიო არაგვისპირელი. ამავე ცნობაში არის —მხატვარ ფიროსმანიშვილის მონოგრაფიის რეპროდუქციებით გამოცემა მინდობილი აქვს ტ. ტაბიძეს და კ. ზდანევიჩს. უნდა იყოს: „მხატვარ ფიროსმანიშვილის მონოგრაფიის გამოსაცემათ შემდგარია სარედაქციო კომისია, რომლის თავმჯდომარეთ არის სახალხო განათლების კომისარი ამხ. კანდელაკი, წევრებად სახელგამის კოლეგიის წევრები ამხ. რაჟდენ კალაძე და ს. აბაშელი. მხოლოდ თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან ტიციან ტაბიძე და კირ. ზდანევიჩი“.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—ლაკმე, რუსთაველის თეატრი—თურქული დრამა, სახალხო სახლი—ქართული დრამა, საბჭოთა თეატრი—სომხური დრამა, პროფკავშირის კლუბი—კინო, კინო მინიონი—„წითელი ფანარი“, კინო „სოლეილ“—მხიარული სატანა, არფასტო—უხილავი ხელი; 2 სერია, კინო პალასი—ოცნება და ცხოვრება.

პროვინციაში

სწავლა-განათლების საქმე ფოთში.

დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ქ. ფოთში განათლების განყოფილებასთან არსებობდა ორი ქვეგანყოფილება: პოლიტგანათლების და სასკოლო ჰასაკამდე მოზრდილთათვის. ვიდრე ადგილობრივი რესურსები ამის საშუალებას გვაძლევდა, ხსენებულ ქვე-განყოფილებათა მუშაობაც ფრიად ნაყოფიერი იყო, რის შესახებ თავის დროზე კიდეც იბეჭდებოდა ცნობები ჩვენ მიერვე იმ დროს გამოცემულ ყოველ კვირეულ ადგილობრივ გაზეთ „მუშის ხმაში“.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა: ანგარიშზე გადასვლამ ფოთის განათლების განყოფილებას საგრძნობი მატერიალური სახსარი მოაკლო, რამაც ჩვენს მუშაობას სათანადო დაღი დაასვა. გასული წლის 1-ლ აპრილიდან პოლიტგანათლების ქვე-განყოფილება, თანახმად ცენტრის განკარგულებისა, ადგილობრივ პარტკომს დაექვემდებარა, და ამის შემდეგ განათგანყოფილებას დარჩა მხოლოდ ერთი ქვე-განყოფილება: 4 საბავშო ბაღი. **გასულ წლის** პირველ ნახევარში ფოთში არსებობდა: 2 ტეხნიკუმი (აქედან: ერთი რუსული), ერთი სახელოსნო, სამი ორკომპლექტიანი (აქედან: ერთი რუსული) და შვიდიც ერთ-კომპლექტიანი სკოლა;—სულ 14 სასწავლებელი. ბავშთა სიმცირის გამო **გასულ წელს** დახურულ იქნა ერთი ტეხნიკუმი (რუსული) და ერთიც—ერთ კომპლექტიანი სკოლა დახურულ იქნა აგრეთვე 3 საბავშო ბაღი უსახსრობის გამო. დარჩა მაშასადამე 12 სასწავლებელი და 1 საბავშო ბაღი. **გასულ წლის პირველ ნახევარში** მასწავლებელთა რიცხვი სასწავლებლებში და ბაღებში ითვლებოდა სულ 101; წელსაც ამდენივეა. აქედან: ტეხნიკუმში 17 (სამი მივლინებულია), ბაღში—3, დანარჩენ შრომის სკოლებში 81. ტეხნიკური პერსონალი იყო სულ 27, **წელს** დარჩა 24.

წელს, მიუხედავად ორი სასწავლებლისა და 3 საბ. ბაღის დახურვისა, მასწავლებელთა რიცხვი იმდენივეა იმიტომ, რომ ა) ტეხნიკუმთან პარალელები გაიხსნა, ბ) მეტი ნაწილი გამგეებისა გაკვეთილებისაგან განთავისუფლდა, ხოლო ამავე დროს, გ) მასწავლებლებს ცოტა გაკვეთილები აქვთ-თანახმად კომისარიატის მიერ დამტკიცებულ შტატებისა.

განათლების **ცენზის** მიხედვით გვყავს: უმაღლესი განათლებით 9, საშუალო—8. გასულ წლის პირველ ნახევარში **მოწაფეთა რიცხვი** იყო 2396. აქედან: ტეხნიკუმში 163 ქალი და 197 ვაჟი; საბავშო **ბაღებში** 118 ქალი და 113 ვაჟი; დანარჩენ სკოლებში 891 ქალი და 914 ვაჟი. სწავლა **დაამთავრა 318 მოსწავლემ.** აქედან: ტეხნიკუმში 24 ქალმა და 15 ვაჟმა; საბავშო ბაღებში 40 ქალმა და 34 ვაჟმა; დანარჩენ სკოლებში 89 ქალმა და 110 ვაჟმა. **წელს** მოწაფეთა რიცხვი არის **2416.** აქედან: ტეხნიკუმში 207 ქალი და 258 ვაჟი; დანარჩენ სკოლებში 936 ქალი და 943 ვაჟი; ერთი დარჩენილ საბავშო ბაღში 40 ქალი და 30 ვაჟი. მოწაფეთა რიცხვიც წელს **მეტია,** ვიდრე შარშან იყო, რაც აიხსნება იმით, რომ პროვინციებში ტეხნიკუმებისა და სხვ. სკოლების დახურვის გამო ფოთის სკოლებს მრავალი მოწაფე მოაწყდა, რამაც, როგორც ვთქვით, ტეხნიკუმთან და სხვა სკოლებთან სათანადო პარალელების გახსნა გამოიწვია. **სწავლა-განათლების საქმე** შარშანდელ სამოსწავლო წელთან შედარებით **წელს გაცილებით უკეთ არის დაყენებული.** მიზეზი ამისა უმთავრესად მდგომარეობს მასწავლებელთა მდგომარეობის მატერიალურის მხრით შედარებით გაუმჯობესებაში. სახეში მისაღებია აგრეთვე სკოლებში დამყარებული დისციპლინა, რასაც ხელი შეუწყო სხვათა შორის იმანაც, რომ სკოლებს ჰყავს მიჩენილი მცოდნე და გამოცდილი ინსტრუქტორი, **სტ. გაგუა,** რომელიც ხშირად განყოფილების გამგესთან და მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელთან ერთად ახდენს სათანადო **რევიზიას,** აძლევს სათანადო დარიგებას გამოუცდელ მასწავლებლებს, ხოლო გამოცდილებს კი ავალებს **სანიმუშო გაკვეთილების** გადაცემას. საზოგადოთ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სკოლებში სწავლის საქმე **წელს** უფრო ნორმალურადაა დაყენებული, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა შარშან სამოსწავლო წლის განმავლობაში—მიუხედავად იმისა, რომ სათანადო სახელმძღვანელოები არც რიცხვობრივად და არც თვისებით არ არის ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებელი.

ალარას ვამბობ მასწავლებელთა ჩამორჩენილობის შესახებ: ამაზე არა ერთხელ თქმულა და დაწერილა. ვიტყვი მხოლოდ, რომ სამასწავლებლო კურსები დღემდის ვერ იქნა მოწყობილი საჭირო თანხისა და ტეხნიკურ-პედაგოგიური ძალების უქონლობის გამო. ახლო მომავალში კი განზრახულია ასეთი კურსების მოწყობა, რაზედაც ზრუნვას უკვე ხელი მიყო ჩვენთან ერთად მასწავლებელთა კავშირის გამგეობამაც.

სასწავლებელთა შენობები ვერ არის დამაკმაყოფილებელი, განსაკუთრებით-დაბალი სკოლების, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი აღმასკომი, რამდენადაც მას სახსარი შესწევს, ღებულობს სათანადო ზომებს მათ შესაკეთებლად. წყალდიდობამ ძლიერ ხელი შეგვიშალა მით, რომ ისედაც ღარიბი ფოთი ფრიად დააზარალა, ხოლო ასეთ პირობებში სასწავლებელთა კაპიტალური რემონტი ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება.

სამეურნეო ხარჯებსაც ადგილობრივი აღმასკომი გვაწვდის, თუმცა სკოლებთან არსებული ე. წ. „მშობელთა დამხმარე წრე“-ც სათანადო უნარს იჩენს სკოლისათვის დახმარების გაწევაში, განსაკუთრებით, გათბობის მხრით. მატერიალურის მხრით ჯერჯერობით ტეხნიკუმია უკეთეს პირობებში, რადგანაც მას აქვს საკუთარი სპეციალური თანხა სწავლის ქირის სახით მიუხედავად იმისა, რომ **სწავლის ქირისაგან 890 მოსწავლედან განთავისუფლებულია 199 მოსწავლე.**

განათლების განყოფილებასთან არსებულ **მცირედა არა სრულ წლოვან დამნაშავეთა კომისიის მიერ** დღემდე გარჩეულ იქნა სულ 14 საქმე, რომელთაგან მეტი ნაწილი დამნაშავეთა პატრონებს დაუბრუნდა სათანადო პირობის ჩამორთმევით, ოთხი კი, როგორც „გაუსწორებელი“ (რეციდივისტი) გადაგზავნილ იქნენ თბილისის კოლონიაში მოსათავსებლად, თუმცა ისინი კი კვლავ იქნენ იქიდან დაბრუნებულნი. გვაქვს **განზრახვა,** ნაცვლათ 3 დახურულ საბ. ბაღისა ახლო მომავალში გავხსნათ ერთი **საბავშო სახლი.** დიდ იმედებს ვამყარებთ ე. წ. სასწავლო გადასახადზე, რაც საშუალებას მოგვცემს სწავლა-აღზრდის საქმე ნორმალურად იქნეს დაყენებული. რასაკვირველია, საჭირო იქნება მეტი ყურადღება მიექცეს სახელმძღვანელოების შესწორებით გამოცემას და მათი გამრავლებას, ურომლისოთაც გამოცდილ მასწავლებელსაც უჭირს საქმის რიგიანად დაყენება.

ფოთის განათლების განყოფილების გამგე **ს. მუსერიძე.**

ოზურგეთი

(ღირსეული შეფი)

ქუთაისის მცველ-მხლებელთა ჯარის ათასეულს განცალკევებული რაზმი ჰყავს ქ. ოზურგეთში. ამ რაზმის წითელ-არმიელთა რიცხვი დაახლოვებით უდრის 40 კაცს. რაზმის შეფად ითვლება ქ. ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი. უნდა ითქვას, რომ სამაზრო აღმანკომი დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენს ჩვენი პატარა ნაწილისადმი. ყველა ჩვენს მოთხოვნილებას ის შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს, რისთვისაც დიდ მადლობას უცხადებთ და ფიცსა ვსდებთ, რომ ჩვენ არ დავერიდებით მტრის ტყვიას და მედგრად დავიცავთ მუშურ-გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას. მშრომელთა სახელმწიფოს კეთილდღეობას შევწირავთ ყველაფერს, რის შეწირვაც საჭირო იქნება. ჩვენ არ შეუშინდებით ნარეკლიან გზას და გავსწევთ მუშებთან ერთად ბრწყინვალე მომავალისაკენ.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას და მის დამცველ წითელ არმიას.

გაუმარჯოს ჩვენს შეფს!

მ. ხამიქაოელი.

მენშევიკური პარტიიდან გარბიან

(წერილი რედაქციის მიმართ).

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ გაზეთ „კომუნისტში“ შემდეგი. ჩვენ, ამ განცხადებების ხელის მომწერნი, ვირიცხებოდით მენშევიკურ პარტიაში 1921 წლამდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება დავანებეთ პარტიულ მუშაობას თავი. ვდგევართ ყოველივე პარტიის გარეშე. მხარს ვუჭერთ არსებულ ხელისუფლებას და ვეცდებით ყოველ მხრივ ხელი შევუწყოთ მის განმტკიცებას.

სეფორა ანთაძე, ალექსი ჭყონია, ქრისტეფორე ჯიჯგეშვილი.

* * *

მენშევიკური პარტიის გახრწნა-დაშლა.

(წერილი ბორჯომიდან)

ბორჯომის პარტ-კომიტეტმა დაიწყო ფართო აგიტაცია ამხ. მუშებ-მენშევიკებში, რომლებიც გაუგებრობით დღემდე კიდევ შერჩენოდნენ მენშევიკურ პარტიას. ახსნა განმარტებისა და ფაქტების მოყვანის შემდეგ, რომ მენშევიკებმა უღალატეს მუშათა კლასს, მუშებმა-მენშევიკებმა განცხადებების შემოტანა, რომ ისინი გამოდიან მენშევიკურ პა სცნობენ ერთად ერთს მუშების ინტერესების დამცველ კომუნისტურ ტიას და თხოულობენ მიღებულ იქმნენ ჩვენს ორგანიზაციებში.

ასევე მოხდა აქეთ სოფლად. დღეს შეიძლება თამამად ითქვას, მშრომელი ხალხის რიგებიდან სამუდამოთ გამოდევნილ არიან მენშე დარჩნენ იქ მხოლოთ მუქთა-მოლაყლაყეები, რომლებიც იხრწნებიან. მათგანს შემოაქვთ განცხადება, რომ სცნობენ საბჭოთა ხელისუფლ გამოდიან პარტიიდან, ნაწილი კი გარბის ქალაქიდან.

დ. რუხაძ

3 თებერვალი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 სარაიონო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა სტუდენტებს—პარტიის წევრებსა და კანდიდატებს, რომლებიც სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართულ მუშათა ფაკულტეტის № 23 იაჩეიკაში ითვლებიან და რომლებიც ჯერ არ არიან ჩარიცხულნი მე-2 სარაიონო კომიტეტის საალრიცხვო ნაწილში—გა დენ სარეგისტრაციოთ სარაიონო ში 2 დღის განმავლობაში. (ხიხ. ილ № 96). ვინც ზემოაღნიშნულ ვადაში არ გამოცხადდება, საქ. კ. პ. სის ორგანიზაციიდან მექანიკურათ ხულით ჩაითვლება და თ ვისი აღსადგენათ იძულებული იქნება კომიტეტს მიმართოს.“

მდივანი ივა

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: და ლიუბა და სიძე ვლადიმერ მოსეშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის

კლემენტი სიმონის-ძე
ნინუას

გამოსვენება დიდუბიდან (საგურამოს ქუჩა) № 5 ნიკოლოზის სა ფლაოზე, შაბათს, 4 საათზე. პანაშვიდი საღამოობით 5 საათ

108—1—

ღრმად დამწუხარებულნი მშობლები ზაქარია დავითის-ძე და ნა ლია ღვთისავარის ასული, მამიდები: სოფიო, ნინო და ეფემია, ძმ ბი: არჩილი, გიორგი, დავითი, ვიქტორი, დები: ლიზა, თამარა, თო და სიძე ნიკოლოზ მიხეილის-ძე პაპიძე აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ ფრენის დროს ტრაგიკულად დაღუპულ სამხედრო მფრინა

სიმონ (სიკო) ზაქარიას-ძე
დავითაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე დანიშნულია ქაშვეთის ეკლ სიაში 6 საათზე დაკრძალვა მოხდება შაბათს 10 თებერვალს 1 დიდუბის ეკლესიის გალავანში.

კრ. 162—2—

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 9 თებერვალს

ლაკმე

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზ

კრ. 155—1—1

აღმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ შაბათს, 10 თებერვალს, დილის თერთმეტ სა აღმასკომის საკრებულო დარბაზში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ქვემოთ აღნიშნულ ბაქებზედ.

1. პოსტოიალის შესახ. № 3.
2. კახეთის ქ. № 8.
3. ჩერქეზიშვილის ქ. № 44.
4. თივის მოედანი № 1.
5. საბურთალო ყოფილი რაზმაძისა.

ყოველივე პირობების გაგება შეიძლება აღმასკომის გადასახადთა ბ როში ოთახი № 50. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ღიათ ესე იგი არ მი არავითარი დახურული კონვერტები.

კრ. 158—2

ვადგენ ახალ მოსამზადებელ ჯგუფებს მომავალ სამოსწავლო წლისათვის ტეხნიკუმ., მუშფაკულტ., სამხედრო სასწავ., საგზაო ინსტიტ.ში, შრომის სკოლაში, საერთო კურსებზე შესასვლელად მე-5, მე-6, მე-7 კლასში და

მათემატიკაში,

(არითმეტ. ალგებრა გეომეტ. და ტრიგომ.)

რუსულ, გერმანულ ენებში ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს. ჩაწერა და მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. (102—3—2)

დოკტორი **გ. მეგრაგიანცი**

„უ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“

შინაგანი ფილტვების—ჭლექი და გულის ავადმყ. სპეც. წამლობა მალარ შეშ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი. იღებს 9—12 საათამდე დილის და 5—7 ს. საღამოს.

ბებუთოვის ქუჩა № 23. (684—25—

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის

ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი **ვ. გ. მეუნარგიასი**

მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.

ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინსკის № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—8)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ ექიმობას საჭიროებენ. ექიმობა სიფილისის ნერვიულ გართულებათა. საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღ ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—8)

ქ. ტფილისის 1-ლ უბნის სახალხო სასამართლო

ამით აცნობებს, რომ 1922 წ. დეკემბრის 12-ს მის დადგენილებით დამტ ცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის არშაკ აბრამის ძე ნაზაროვის დერძის წერილი შედგენილი 1922 წ. აპრილის 14 დღეს შინაური ან ძის წერილი;

(105—1—1) სახალხო მოსამართლე ა. ჩაჩიბაია.

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ქართულ მუშა ფაკულტეტიდან. 1922 წ. 18 ნოემბერს № 41 ალექსი ივანეს ძე კოხლავაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (106—1—1)

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4.